ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 22 დეკემბერი, 2016 | №303 (7228) | ფასი: 50 თეთრი

## ჩეჩნეთიდან სირიაში ბატალიონებს აგზავნიან



გვ.2

ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაშიც დაიძაბა

22 დეკემბრიდან
ძმები გრიმები
წითელქუდა
მაგარი ყდა:
64 ფერადი
გვერდი
ფასი
გაზეთთან
ერთად
4 ლარი




# „გიორგი მარგველაშვილი ოპოზიციის ლიდერი გახდება“

## რატომ გაებუტა პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტს




გვ.3





„პრეზიდენტმა ღიად განაცხადა, რომ ლარის გაუფასურება მთავრობის ბრალია. ამით ის ფაქტიურად ოფიციალურად წავიდა ოპოზიციაში და ძალიან მალე „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. ეს, თავის მხრივ, ქვეყანას შეუქმნის პრობლემებს“

## ირაკლი სესიაშვილი: „მთელ მსოფლიოში კონტრდაზვერვითი საქმიანობის უფლებამოსილება გაფართოვდა“

გვ.7



„ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება აქ არაფერ შუაშია“

## ირაკლი ბერაია: „დაუშვებელია უსაფრთხოების სამსახურისთვის უფლებამოსილებების შეზღუდვა და ამით ჩვენი სპეცსამსახურების დასუსტება“

გვ.4





გვ.4

## ოპოზიცია მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენებას აპირებს

ზვიად ძიძიგური პარლამენტში მთავრობის ეკონომიკური გუნდის მისვლას ეწინააღმდეგება

ISSN 1987-9385

ჯონდი ბაღათურია: „მთავრობის შეკრებაზე მთელი საქართველოს ბიუჯეტი ვნახე“

გვ.2



## „კვირიკაშვილის გადაყენება არაფერს შეცვლის“

# „კვირიკაშვილის გადაყენება არაფერს შეცვლის“

## ჯონდი ბაღათურია: „მთავრობის შეკრებაზე მთელი საქართველოს ბიუჯეტი ვნახე“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.

***– ბატონო ჯონდი, ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, პოლიტიკურ კრიზისამდეც ხომ არ მივალთ?***

– ეკონომიკური კრიზისი სახეზეა და იანვრის ბოლოს, თებერვლისთვის, თუ მთავრობამ რადიკალური ზომები არ მიიღო, მოსალოდნელია სოციალური კოლაფსი და ამას შეუძლია გამოიწვიოს სოციალური აფეთქება. ამ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ერთი გარემოება.

***– რომელი?***

– მთავრობას ვერ ვატყობ, რომ რაიმე რადიკალური ზომების გატარებას გეგმავდეს. ეს ადამიანები იმასაც ვერ ხვდებიან, მდგომარეობა რამდენად რთულია. აშკარად ჩანს, რომ ადამიანები, რომლებიც კომენტარებს აკეთებენ, არიან მაძღრები, თავს კომფორტულად გრძნობენ და მათ შემხედვარეს ძველი ქართული ანდაზა მახსენდება: მაძღარს სხვაც მაძღარი ეგონაო. ოპოზიციური სპექტრიც სრულიად მოუმზადებელი ხვდება ამ სიტუაციას.

***– რა თვალსაზრისით?***

– დღეს რომ იყოს პოლიტიკური ძალა ქვეყანაში, რომელიც ხელისუფლების ალტერნატივას წარმოადგენს, ის უკვე აიღებდა ძალაუფლებას ხელში ან აიძულებდა მაინც ხელისუფლებას, რომ უფრო ადეკვატური ყოფილიყო.

***– ამიტომაც ხომ არ იგრძნობა ასეთი სითამამე მათ განცხადებებში, რადგან ხედავენ, რომ ალტერნატივა არ არსებობს?***

– კი, სავსებით გეთანხმებით. ადამიანს, რომელსაც 5 ათასი ლარი ხელფასი აქვს და კიდევ 5 ათასი ლარი პრემია და ლაპარაკობს იმაზე, რომ ცხოვრება არ არის გაუსაძლისი, რომ ყველაფერი კარგადაა და ამ დროს ქვეყანაში ჰყავს ნახევარ მილიონზე მეტი პენსიონერი, რომელიც 160 ლარზე ცხოვრობს, მას რა უნდა ელაპარაკო?! პლუს ამას კიდევ ჰყავს 1.600.000 ადამიანი, რომელიც სოციალურ დახმარებას ითხოვს.

***– როგორ ფიქრობთ, ხომ არ გადაყვება ეს ხელისუფლება ლარს?***

– მთავრობა და ხელისუფლება ორი სხვადასხვა კატეგორიაა. შესაძლოა მთავრობა გადაყვეს, რისი სურვილიც მე არ მაქვს, იმიტომ, რომ ეს კიდევ უფრო გაართულებს ქვეყანაში მდგომარეობას, თუმცა ხელისუფლება შენარჩუნებული იქნება. შესაკრებთა გადანაცვლებით კი ჯამი არ იცვლება.

***– ანუ მთავრობის შეცვლით არაფერი შეიცვლება?***





– რასაკვირველია.

***– ყველაფერი მზადდება კვირიკაშვილის შესაცვლელადო. თქვენც ასე ფიქრობთ, აქეთკენ მიდის სიტუაცია?***

– შესაძლოა, სწორედ ასეთი შედეგებით დამთავრდეს ის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი, რაც ხელისუფლებამ აირჩია. მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ, რომ მხოლოდ კვირიკაშვილზე გადატყდეს ეს ჯოხი. კი, ფორმალურად პასუხისმგებლობა მას ეკისრება, მაგრამ ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ კვირიკაშვილმა ზედმიწევნითაც რომ იცოდეს, როგორ დაიძლიოს ეს კრიზისი, მას არ აქვს საშუალება, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები.

***– აბა, ვინ იღებს ამ გადაწყვეტილებებს, ისევ ბიძინა ივანიშვილი?***

– ქვეყანას არც კვირიკაშვილი მართავს და, სამწუხაროდ, არც ივანიშვილი, როგორც ხალხს ჰგონია. ქვეყანა იმართება შეერთებული შტატების საელჩოდან მოსული მესიჯებით. ეს მესიჯები მოდის იმ სახელმწიფოსგან, რომელიც არ არის დაინტერესებული აქ ეკონომიკის აყვავებით. 20 წელია ქვეყანა კოლონიას დაამსგავსეს! მათ რომ ეკონომიკის აყვავება სდომოდათ ჩვენს ქვეყანაში, აქ ერთი ამერიკული ქარხანა მაინც იქნებოდა გახსნილი. დამისახელეთ ერთი ქარხანა, რომელიც აქ ამერიკელებმა ააშენეს. ასეთი არ არსებობს! სამაგიეროდ, ააშენეს ლუგა?ის ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს ქვეყნისთვის ძალიან სახიფათო ექსპერიმენტები.

***– ძალიან ბევრს საუბრობენ ლუგა?ის ლაბორატორიაზე, რომ ეს ბურუსით მოცული თემაა. ასეა?***

– სწორედ რომ ბურუსითაა მოცული და ასეთი ექსპერიმენტები ტარდება კოლონიურ ქვეყნებში. ისინი ჩვენ განგვიხილავენ, როგორც კოლონიას და ჩვენზე ცდებს ატარებენ! თუ ჩვენ არ მივეცით ჩვენს თავს თავისუფლება და თუ იმ ჩიტივით მოვიქეცით, რომელსაც გალიის კარი გაუღეს, მაგრამ არ უნდა გალიიდან გამოსვლა, მაშინ ქვეყანას განვითარება არ უწერია.

***– სემეკის თავმჯდომარე აცხადებს, რომ უნდა გადაიხედოს ტარიფი, რადგან ფასების მატება არის გარდაუვალი. ითქვა ისიც, რომ დენი გაძვირდება 2 თეთრით, ხოლო ბუნებრივი აირი – 10 თეთრით. რა მოყვება ამას, თუ ტარიფებმაც იმატა?***

– იცით, როგორი სიტუაციაა? ბევრი ვეცადე თქვენთვისო, გამომივიდა ჩემთვისო. ტარიფების ზრდა გამოიწვევს ხალხის კიდევ უფრო გაღარიბებას. რა იწვევს ტარიფების ზრდას? რა მიზეზს ასახელებენ? ეს არის ლარის კურსის ვარდნა! და რით არის ლარის კურსის ვარდნა გამოწვეული? იმით, რომ ლარის მასა არაადეკვატურად მეტია, ვიდრე დოლარის.

***– რატომ არის ასე ბევრი ლარის მასა?***

– ამას ორი მიზეზი აქვს. ერთი ის, რომ ჩვენ არ გვაქვს ეკონომიკა და არ ვაწარმოებთ პროდუქციას, რომელიც გავიდოდა ქვეყნიდან, შემდეგ შემოდინდებოდა ვალუტა და ამით ეს დისბალანსი დაბალანსდებოდა. რატომ არის ამდენი ლარი? იმიტომ, რომ მთავრობა ძალიან ბევრს ხარჯავს თავის ფუფუნებასა და კომფორტზე! ჩვენი ბიუჯეტის 45% იხარჯება ხელისუფლების შენახვაზე! არ შეიძლება მთავრობას ამდენი მიჰქონდეს ხალხისგან. მხოლოდ დამპყრობელი იქცევა ასე, რომ 45% ფორმალურად მიაქვს და მეორე 45% – არაფორმალურად. მთავრობას რომ შეემცირებინა თავისი ხარჯები, ამით 500 მილიონი გამოთავისუფლდებოდა.

***– ამით ეშველებოდა ჩვენს პრობლემებს?***

– ამ შემთხვევაში არ გახდებოდა საჭირო აქციზების ზრდა საწვავზე, ასევე იმ განცხადებების გაკეთება, რაც გააკეთეს. ასეთი კატასტროფული ვარდნა ლარის კურსის არ იქნებოდა. 500 მილიონი ლარის შემცირება სავალუტო ბაზარზე ავტომატურად გამოიწვევდა ლარის გამყარებას. ამას კი სჭირდებოდა მთავრობის ცოტა უფრო თავშეკავებული მადა, რაზეც არ წავიდნენ! მე არ ვამბობ, რომ უხელფასოდ იმუშაონ, მაგრამ ამ ყველაფრის ოპტიმიზაცია იყო საჭირო.

***– ოპტიმიზაცია ახსენეთ და სწორედ ამ მიზნით სამინისტროები ათასობით თანამშრომლის შემცირებას გეგმავენ. ეს არის გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან? ანუ ასე გაიგო ხელისუფლებამ ოპტიმიზაცია, რომ კადრები გაუშვან და არა საკუთარი ჯიბე შეათხელონ?***

– ეს აბსოლუტურად არასწორი გაგებაა ოპტიმიზაციის. ის, რომ გააგდო ადამიანი სამსახურიდან და მერე ის ადამიანი უმუშევარი რომ დარჩება, განცხადება დაწეროს სოციალურ შემწეობაზე და 1.600.000 ადამიანი გაიზარდოს 2 მილიონამდე, აბსოლუტურად არარაციონალური გადაწყვეტილებაა და ნამდვილად არ გამოიღებს უკეთეს შედეგებს. ეს კიდევ უფრო დაამძიმებს სოციალურ ფონს.

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ღონისძიებაზე ვიყავი, სადაც მთავრობა იყო შეკრებილი, როცა გამოვედი შენობიდან, გარეთ იყო მთელი საქართველოს ბიუჯეტი.

***– რას გულისხმობთ? ასეთი რა ნახეთ?***

– იქ მანქანები იდგა იმდენად ძვირფასი, რომ საქართველოს მთავრობა კი არა, ევროპის განვითარებული ქვეყნების მთავრობები არ აძლევენ თავს ამის უფლებას! ისინი არც დადიან ასეთი მანქანებით. ერთ მინისტრს რომ კიდევ სამი ძვირადღირებული მანქანა დასდევს, ეს რაში სჭირდებათ?! მათ ოჯახებსაც ამდენივე მანქანა ემსახურება. ვისგან იცავენ თავს?! თუ საკუთარი ხალხისგან იცავენ თავს, ეს მით უარესი. მათი საქციელი ქართული ხასიათის ყველაზე ნეგატიური მხარის გამოვლინებაა.

***– საუბარია, რომ უმძიმესი ზამთარი და უმძიმესი 2017 წელი გველის. როგორია თქვენი პროგნოზი?***

– უმძიმესი ზამთარი უკვე გვიდგას და საქმეს ისიც ართულებს, რომ არ ჩანს პერსპექტივა სიტუაციის გამოსწორების. იანვრის ბოლოს, თებერვალში უფრო დამძიმდება სოციალური ფონი და გამწვავდება პოლიტიკური ვითარება.

***– აქციებს აანონსებენ ოპოზიციური პარტიები.***

– სამწუხაროდ, ოპოზიციურ პარტიებს დღეს არ აქვთ იმდენი ავტორიტეტი, რომ აქციებზე ხალხი გამოიყვანონ და ამ ხელისუფლებას ეომონ. სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

# ჩეჩნეთიდან სირიაში ბატალიონებს აგზავნიან

მარიამ მჭედლიშვილი

სირიის ქალაქ ალეპოს მიწასთან გასწორებამ და თურქეთში რუსეთის ელჩის დახვრეტამ აშკარა გახადა, რომ რუსეთსა და რადიკალ ისლამისტებს შორის კონფლიქტი გაღრმავდა. ეს გარკვეულ საფრთხეს უქმნის საქართველოსაც.

ვითარება დაიძაბა ჩრდილოეთ კავკასიაშიც, სადაც დიდი ხანია მოქმედებენ ისლამურ სახელმწიფოს დაქვემდებარებული პირები და ადრე შექმნილი ტერორისტული ისლამისტური ორგანიზაცია იმარატ კავკასიის წევრები.

თუ ამ დრომდე კავკასიის რეგიონში ისლამისტი ტერორისტების აქტიურობა იკვეთებოდა ძირითადად დაღესტანში, ბოლო დღეებში მომხდარი ინციდენტების გამო, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ჩეჩნეთი. იქ განხორციელებულ თავდასხმებზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ იკისრა.

აქამდე ჩეჩნეთი ითვლებოდა რესპუბლიკად, სადაც კადიროვმა დაამყარა წესრიგი და შემოიღო მკაცრი ზომები ისლამისტების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ზომა კოლექტიური პასუხისმგებლობაა – საზღვარგარეთის პასპორტს ახალგაზრდას აძლევენ ოჯახის წევრების თავდებობის პირობით.

ბოლო დროს ჩეჩნეთში თითქმის ერთდროულად მოეწყო თავდასხმები პოლიციელებზე. ამ თავდასხმებს 4 პოლიციელი შეეწირა. საპასუ-



ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაშიც დაიძაბა

ხოდ ჩატარდა კონტრტერორისტული ოპერაცია. ოპერაციის დროს მოხდა 7 მებრძოლის ლიკვიდაცია და 4-ის დაკავება. გროზნოში მომხდარ თავდასხმებზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

ამას წინ უძღოდა ახლო აღმოსავლეთში გროზნოს მკვიდრის სიკვდილით დასჯა.

ისლამური სახელმწიფოს ჯიჰადისტებმა ჩეჩნეთიდან წასული კაცი იმის გამო დასაჯეს, რომ იგი, მათი მტკიცებით, რუსეთის სპეცსამსახურებთან ურთიერთობაში იყო მხილებული. რადიკალმა ისლამისტებმა სიკვდილით დასჯის ამსახველი ვიდეორგოლიც გაავრცელეს. ისინი ირწმუნებიან, რომ უშიშროების სამსახურის აგენტებს მათ რიგებში პირადად ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი აგზავნის.

დაახლოებით წელიწადნახევრის წინ კადიროვმა ისლამური სახელმწიფოს ლიდერების მუქარას რუსეთის წინააღმდეგ ჯიჰადის გამოცხადების შესახებ ტყუილი ტრაბახი უწოდა.

ექსპერტებს ჩეჩნეთში მომხდარი ბოლოდროინდელი მოვლენები სახიფათოდ მიაჩნიათ. მათი აზრით, განხორციელებული თავდასხმები მიანიშნებს, რომ ჩეჩნეთში არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ აქტივიზაცია დივერსიებისთვის, ან სხვა მიზნების გამო. არსებობს ვარაუდი, რომ ჩეჩნეთში ჯერ კიდევ არსებობს შეიარაღებული იატაკქვეშა გაერთიანებები. ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ რესპუბლიკაში ძლიერია ისლამური სახელმწიფოს იდეები.

როგორც ცნობილია, ისლამური სახელმწიფოს რიგებში, სხვა ჩრდილოეთკავკასიელების გარდა, იბრძვიან ჩეჩნებიც. რუსეთის ხელისუფლება მათ წინააღმდეგ მებრძოლებსაც აგროვებს.

„ნოვაია გაზეტას“ ცნობით, ჩეჩნეთიდან სირიაში ხელისუფლების ორგანიზებით იგეგმება მებრძოლების გაგზავნა. საუბარია ორ ბატალიონზე. თითოეულ მათგანში 600-მდე კაცი იქნება. მათი დიდ ნაწილს სამხედრო პოლიციელები შეადგენენ. ერთ-ერთ ბატალიონს უხელმძღვანელებს დონბასის ბრძოლების მონაწილე ალტი ბოლოტხანოვი. „სიკვდილის“ სახელით ცნობილი მისი ბატალიონი დონბასში ჩეჩნეთის დროშის ქვეშ იბრძოდა. ჩეჩენი პოლიციელების 500-კაციანი დანაყოფი უკვე იმყოფება სირიაში.

– ხელისუფლება ცდილობს, „სირიის“ ბატალიონებში მოახდინოს ჩეჩნური ოჯახების იმ წევრების რეკრუტირება, რომელთა ნათესავები ისლამური სახელმწიფოს რიგებში იბრძვიან, – აღნიშნავს გაზეთი.

ამავე წყაროს ცნობით, თავდაცვის სამინისტროს 12 ჩეჩენი თანამშრომელი დაემშვიდობა სამსახურს იმის გამო, რომ უარი თქვა სირიაში საბრძოლველად გამგზავრებაზე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გიორგი მარგველაშვილი ოპოზიციის ლიდერი გახდება“

## რატომ გაებუტა პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტს

უკვე დიდი ხანია მიდის საუბრები იმის შესახებ, რომ გიორგი მარგველაშვილი ოპოზიციურ გაერთიანებას ჩაუდგება სათავეში. გასულ კვირას დუშეთში გამართულმა შეხვედრამ ეს თემა კიდევ უფრო აქტუალური გახადა. გაებუტა თუ არა პრეზიდენტს ამის გამო პარლამენტის თავმჯდომარე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის წევრი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

შორენა მარსაგიშვილი

***– თქვენ სოციალურ ქსელში გაავრცელეთ განცხადება, რომ ირაკლი კობახიძე პრეზიდენტს გაებუტა. მანამდე კი განაცხადეთ, რომ მარგველაშვილი შესაძლოა ოპოზიციის ლიდერი გახდეს. ეს ორი ამბავი ერთმანეთთან რაიმე კავშირშია?***

– ბოლო პერიოდში პრეზიდენტის რეზიდენციაში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა, რომლებსაც პრემიერი, მინისტრები და დეპუტატები ესწრებიან. ამ ღონისძიებებზე ცოცხალი თავით არ მიდის ირაკლი კობახიძე. მის გარდა, პრეზიდენტს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე არ ეკარება.

ამ გაბუტვის და ირაკლი კობახიძის კაბინეტში გამოკეტვის მიზეზს მე უფრო საკონსტიტუციო ცვლილებებს ვუკავშირებ.

***– საკონსტიტუციო ცვლილებების გამო პარლამენტის სპიკერი პრეზიდენტს რატომ უნდა გაბუტვოდა?***

– ახალგაზრდა სპიკერმა დიდის ამბით დაპატიჟა საკონსტიტუციო კომისიაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ფაქტიურად უთხრა, შენი ხალხი მოვიდეს, რომ ერთად მივიღოთ დადგენილება, მომავალში პრეზიდენტი რომ აღარ იყოო. ამით კობახიძემ მარგველაშვილს უთხრა, ყელში შენი ხელით გამოისვი ცელიო.

გიორგი მარგველაშვილს კი რალაცნაირად ვუყურებთ, მაგრამ გონიერი ადამიანია და ამიტომაც არ თანხმდება ამ შეთავაზებას. ამას რომ დათანხმებულიყო, ოფიციალურ გიჟად უნდა გამოგვეცხადებინა. ამ შემთხვევაში მე მარგველაშვილს სრულიად ვეთანხმები. ის, სავარაუდოდ, მეორე ვადითაც აპირებს პრეზიდენტობას.

***– დარწმუნებული ხართ, რომ მეორე ვადით მოინდომებს პრეზიდენტობას?***



– აბა სხვა რა თანამდებობას უნდა დათანხმდეს? პრეზიდენტის გარდა, ის ერთადერთი, რასაც შეიძლება დათანხმდეს, არის პრემიერის თანამდებობა. ელჩად მაგას ვერ გაუშვებენ. ნებისმიერი პრეზიდენტისთვის დაქვეითებაა ელჩად დანიშვნა. აქედან გამომდინარე მისი პოლიტიკური საცხოვრებელი არის ისევ პრეზიდენტის თანამდებობა. ახლავე დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ეგ ისე ვერ გახდება პრემიერი, როგორც მე არ მეღირსება ჩინეთის იმპერატორობა.

***– მეორე ვადით გაპრეზიდენტების შანსი აქვს?***

– ამის შანსი მართლა აქვს. ამას „ქართულ ოცნებაშიც“ კარგად ხვდებიან და ამიტომაც უნდათ, რომ პრეზიდენტის არჩევის წესი შეცვალონ. კონსტიტუციაში მოქმედი პრეზიდენტის გვერდის ავლით ამ ცვლილების შეტანა უხერხულია. ამიტომაც „ეჩალიჩება“ ასე გამწარებით კობახიძე მარგველაშვილს, გვერდით დამიდექიო.

***– კობახიძის გაბუტვის მიზეზი გავიგეთ. ახლა ის გვითხარით, რის საფუძველზე ამბობთ, რომ მარგველაშვილი ოპოზიციის ლიდერი გახდება?***

– ამაზე დიდი ხანია, რაც საუბრები მიდის. პრეზიდენტი თავისი ქმედებებით და განცხადებებით ისედაც ოპოზიციაშია თითქმის. ბოლო დროს მისი განცხადებები კიდევ უფრო საინტერესო გახდა, რაც მაფიქრებინებს, რომ ის ოფიციალურად წავა ოპოზიციაში.

***– რომელმა განცხადებამ გაგიძლიერათ ეს ეჭვი?***

– ყურში მომხვდა მისი განცხადება ლარის კურსთან დაკავშირებით. მარგველაშვილმა ღიად განაცხადა, რომ ლარის გაუფასურება მთავრობის ბრალია. ამით ის ფაქტიურად ოფიციალურად წავიდა ოპოზიციაში და ძალიან მალე „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. ეს, თავის მხრივ, ქვეყანას შეუქმნის პრობლემებს.

***– ქვეყანას რატომ უნდა შეექმნას პრობლემები?***

– „ქართულ ოცნებაში“ უამრავი დაჯგუფებაა, რომლებიც ქვეყანას თავთავიანთ მხარეს ექაჩებიან. კვირიკაშვილი რამდენიმე თვის წინ იმას იძახდა, პრორუსულობა „გრეხიაო“ და ახლა თავად გავარდა პრორუს ერდოღანთან და ევრაზიულ გვირაბში გაირბინა. არ გამოვრიცხავ, რომ პოლიტიკური ვექტორის ცვლილებასთან გვქონდეს საქმე.





ქვეყანაში არის კოშმარი, „ქართული ოცნების“ დეპუტატი რევაზ არველაძე პირდაპირ ამბობს, რომ შავად არის საქმე. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ამბობს, 40 მილიონი დოლარი გამოვიტანეთ ბაზარზე და ლარი მაინც ვერ დავიჭირეთო. ფაქტია, რომ მთავრობა ქვეყანას ვეღარ აკონტროლებს. ასეთ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა გადადგეს ან მთავრობის ეკონომიკური გუნდი უნდა შეიცვალოს. მესმის, რომ მთავრობას სამუშაოდ რაღაც დრო უნდა მიეცეს, მაგრამ ესენი საშინლად მუშაობენ და ვინაა გარანტი, რომ 3 თვის თავზე უარესი არ იქნება.

***– მოდით, ისევ პრეზიდენტის ოპოზიციონერობას დავუბრუნდეთ. ის თავის გუნდს შექმნის თუ ეული ოპოზიციონერი იქნება?***

– ეული ოპოზიციონერი ახლაც არის. ის აუცილებლად შექმნის თავის გუნდს. არ გამოვრიცხავ, რომ ის თავისუფალი დემოკრატების ლიდერიც კი გახდეს. მას ამ პარტიასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა. რამდენიმე ხნის წინ მასთან დუშეთში ჩავიდა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი შალვა შავგულიძე. მათ კაბელების საქმეზე დაკავებულებზე ისაუბრეს. არის ვარაუდი, რომ პრეზიდენტი მათ შეიწყალებს. როგორც კი პრეზიდენტი მათ შეიწყალებს, ის ეგრევე გახდება თავდემების ლიდერი.

პრეზიდენტის გარშემო, სავარაუდოდ, ვიხილავთ რესპუბლიკელებსა და ეროვნულ ფორუმსაც. გიორგი მარგველაშვილმა, შესაძლოა, ძალიან სერიოზული ძალა შექმნას.

# საკონსტიტუციო კომისიას მიმდინარე კვირაში დაამტკიცებენ



– მიმდინარე კვირაში ვგეგმავთ საკონსტიტუციო რეფორმაზე მომუშავე კომისიის შემადგენლობის დამტკიცებას.

ინფორმაცია ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ მიაწოდა.

– კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც არის ამავდროულად პარლამენტის თავმჯდომარე, მიეცა უფლება, განსაზღვროს პერსონალური შემადგენლობა, ვინც იქნებიან ფრაქციებიდან და ასევე, ველოდებით, ვის დაასახელებენ ოპოზიციური პარტიები, მათ შორის არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები.

ამ სიაზე პარლამენტის თავმჯდომარე მუშაობს და როგორც ვგეგმავთ, ამ კვირაში მოხდება კომისიის შემადგენლობის დამტკიცება. წლის ბოლომდე დაგეგმილია საკონსტიტუციო რეფორმაზე მომუშავე სრული შემადგენლობის პირველი სამუშაო შეხვედრა, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

**მედიანიუსი**



# ოპოზიცია მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენებას აპირებს

## ზვიად ძიძიგური პარლამენტში მთავრობის ეკონომიკური გუნდის მისვლას ეწინააღმდეგება

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალური მოძრაობა და პატრიოტთა ალიანსი ლარის დასატირებლად მთავრობის ეკონომიკურ გუნდს პარლამენტში ეპატიჟებიან. „ქართულ ოცნებაში“ ლარის ავადმყოფობას ცოცხალი თავით არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ მთავრობა საკანონმდებლო ორგანოში არ უნდა მივიდეს.**





ოპოზიციაში ყოფნის დროს ზვიად ძიძიგური ხშირად ითხოვდა პარლამენტში ნაციონალური მთავრობის მისვლას. ახლა ვიცე-სპიკერის სავარძლიდან აშკარად სხვანაირად ხედავს მოვლენებს და ვერ ხვდება, თუ რატომ უნდა მივიდეს ეკონომიკური გუნდი პარლამენტში ოპოზიციის მოთხოვნით.

— მე ვფიქრობ, რომ ყველა კითხვას, რაზეც პასუხი უნდა გაეცა ეკონომიკურ გუნდს, გაცემულია. რაიმე ახალი სათქმელი ეკონომიკურ გუნდს იმის მერე, რაც პარლამენტში იყო, არა მგონია, რომ ჰქონდეს. ვერ ვხედავ რაიმე დატვირთვას, ეკონომიკური გუნდი რომ კიდევ დამატებით პარლამენტში მოვიდეს, გარდა იმისა, რომ ოპოზიციას აჟიოტაჟის ატეხვა სურს. სურთ მეტი იხმაურონ, რომ ძალიან წუხან ლარის კურსთან დაკავშირებით. არავითარი წუხილი მათ არ გააჩნიათ. რაიმე წუხილი რომ ჰქონდეთ, თემით სპეკულირებას თავს დაანებებდნენ და აჟიოტაჟის შექმნას არ შეუწყობდნენ ხელს, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

მთავრობის ეკონომიკური გუნდის პარლამენტში დაბარება დიდად არც ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერს მამუკა მდინარაძეს მოსწონს, თუმცა, ძიძიგურისგან განსხვავებით, ის ოპოზიციას მთავრობის დაბარებას არ უკრძალავს.

მდინარაძე არც იმას გამორიცხავს, რომ მთავრობა პარლამენტში „ქართულმა ოცნებამაც“ დაიბაროს. მისი თქმით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა კრიტიკულად გაგრძელდება.

მდინარაძე ამბობს, რომ დღეს არსებული ვითარება ისეთი მძიმე არ არის, როგორსაც ოპოზიცია ხატავს.

— ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. დარწმუნებული ვართ იმ გეგმის რეალურობაში, რაც მთავრობის მხრიდან წარმოდგენილია. როდესაც მთავრობის ეკონომიკური გეგმა მოქმედებაში მოვა და ამასთან დაკავშირებით კრიტიკული კითხვები იქნება, პირველი გამხმოვანებლები ამ კრიტიკული კითხვების თავად ვიქნებით. არ ვაპირებთ, რომ, ჩვენი გუნდურობის მიუხედავად, ერთ ხმაში ვილაპარაკოთ, — აღნიშნა მამუკა მდინარაძემ.

პარლამენტში მისვლის და ოპოზიციის ქოქოლის მოსმენის სურვილი არც მთავრობის წევრებს აქვთ.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე პარლამენტში ეკონომიკური გუნდის მისვლის დიდ შინაარსს ვერ ხედავს და აცხადებს, რომ გასულ კვირას დეპუტატების ყველა კითხვას გასცეს პასუხი. ამის მიუხედავად, საჭიროების შემთხვევაში, ის ისევ მივა პარლამენტში.

— ჩვენ გასული კვირის განმავლობაში გვქონდა შეხვედრები როგორც უმრავლესობასთან, ასევე საპარლამენტო უმცირესობასთანაც. ამიტომ დიდ შინაარსს ამ შეხვედრისას ვერ ვხედავ. თუმცა, მზად ვართ, ყველა კითხვას გავცეთ პასუხი, — განაცხადა გიორგი კაკაურიძემ.

ძიძიგურის წინააღმდეგობის მიუხედავად, არც ნაცმოძრაობა და არც პატრიოტთა ალიანსი თავისი მოთხოვნის უკან წაღებას არ აპირებენ.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი ამბობს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა პასუხები უნდა გასცენ კითხვებს:

— ვითარება ქვეყანაში სულ უფრო მძიმდება, მთავრობას კი არ აქვს პასუხი და ვერ აცნობიერებს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება დღეს საქართველოში მოსახლეობა. აუცილებელია, ეკონომიკური გუნდი მოვიდეს პარლამენტში გეგმით ან შემოთავაზებით, თუ რა ხედვა აქვს და როგორ უნდა გამოასწოროს არსებული სიტუაცია. ჯერჯერობით მთავრობას არ უთქვამს, რომ აუცილებელია ამ ვითარებისთვის სპეციალური ზომების მიღება, — ამბობს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

კიდევ უფრო რადიკალურად არის განწყობილი პატრიოტთა ალიანსი. მისი ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი ამბობს, რომ აუცილებლად დააყენებს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს.

ინაშვილის შეფასებით, მთავრობის ეკონომიკური გუნდი უუნაროა. მას არც მთავრობის მიერ წარდგენილი ანტიკრიზისული გეგმა მოსწონს. პარლამენტის ვიცე-სპიკერი ამბობს, რომ ეს ცარიელი ჰაერია და ხელისუფლებას არ შეუძლია ეკონომიკურ კრიზისთან დაპირისპირება.

ინაშვილი კვირიკაშვილის და მისი გუნდის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებს, თუმცა არ აკონკრეტებს, როდის.

— ჰაერია მათ მიერ წარმოდგენილი ოთხპუნქტიანი ანტიკრიზისული გეგმა. ამიტომ, ვადებს ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ აუცილებლად დავაყენებთ დღის წესრიგში მთავრობისა და პრემიერ კვირიკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხს — მათ გადადგომას, ზოგიერთი მინისტრის დაპატიმრებასაც, დღის წესრიგიდან არ მომიხსნია კულტურის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი. ვინც ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს, უნდა აგოს პასუხი, — აღნიშნა ირმა ინაშვილმა.

ამასთან, პატრიოტთა ალიანსი მთავრობას ეკონომიკური და ფინანსური კრიზისიდან გამოსაყვანად სპეციალური სახელმწიფო კომისია შექმნისკენ მოუწოდებს და ურჩევს, კომისია დაკომპლექტდეს პოლიტიკური პარტიებისა და ეკონომისტებისგან.

# გიორგი მღებრიშვილი: „შსს-დან ბალასტს ვუშვებთ“



შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი მღებრიშვილის ინფორმაციით, უწყებაში კადრების რესტრუქტურიზაცია დაიწყო.

როგორც მღებრიშვილმა საკითხის კომენტირებისას მედიას განუცხადა, თანამდებობებს დატოვებენ ის ადამიანები, რომლებიც ვერ დაეწევიან განვითარების იმ ტემპს, რომელსაც სამინისტრო მათ სთავაზობს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს რესტრუქტურიზაცია დავიწყეთ, ისევე, როგორც სხვა სამინისტროებში. ვნახოთ, ჯერჯერობით წინასწარ ამაზე საუბარი მე არ მინდა, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც, ასე ვთქვათ, ბალასტი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროში, აუცილებლად გათავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან, თუ ასეთები იქნებიან. ასევე, ის ადამიანები გათავისუფლდებიან, რომლებიც ვერ დაეწევიან იმ განვითარების ტემპს, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ უკვე წელს, — აღნიშნა მინისტრმა.

**მედიანიუსი**

# საქართველოში ბელარუსის საელჩო გაიხსნა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ბელარუს კოლეგა ვლადიმირ მაკეისთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოში ბელარუსის საელჩოს გახსნის ოფიციალურ ცერემონიაში.

საზეიმო ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

მათ კმაყოფილებით აღნიშნეს ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების პროცესში თბილისში ბელარუსის საელჩოს გახსნის მნიშვნელობა.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მიმოიხილა საქართველო-ბელარუსის ორმხრივი ურთიერთობები, როგორც პოლიტიკური, ასევე სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და ტურისტული მიმართულებით.

მიხეილ ჯანელიძემ საელჩოს გახსნა მიულოცა ბელარუსის ელჩს საქართველოში მიხეილ მიატლიკოვს და მას მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

თბილისში ბელარუსის საელჩოს გახსნის გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2015 წელს ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს საქართველოში ვიზიტის დროს.

ბელარუსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვია. ვიზიტის ფარგლებში მან შეხვედრები გამართა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან.

ვლადიმერ მაკეიმ ასევე მოინახულა საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელი ხურვალეთი და პატივი მიაგო საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს.

**ნიუსპრესი**

# სამხედრო პოლიციიდან 100-მდე ადამიანი გაათავისუფლეს

სამხედრო პოლიციის აღმოსავლეთ ბატალიონიდან 100-მდე ადამიანი გაათავისუფლეს. ბატალიონში 250-მდე პირი მსახურობდა. შეხვედრაზე, რომელიც სამხედრო პოლიციაში გაიმართა, თანამშრომლებს მათი გათავისუფლების მიზეზი განუმარტეს. როგორც „ქრონიკას“ ექსკლუზიურად შეხვედრიდან წამოსულმა გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა განუცხადეს, მათთვის გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო.

— რა ვთქვა, არაფერი არ ვიცი. ერთი ხელის მოსმით, ასე უცაბედად, საახალწლოდ დაგვტოვეს ამდენი ხალხი ულუკმაპუროდ. დაახლოებით 100 კაცამდე ამ ბატალიონიდან. სხვა ჯარებში არ ვიცი რა ხდება. ჩვენგან, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ამბავია. განმარტება იყო, რომ შტატები საერთოდ გააუქმეს. ჩვენი შტატები. საბოლოოდ ითქვა სიტყვა ოპტიმიზაცია“, — აღნიშნა სამხედრო პოლიციის გათავისუფლებულმა თანამშრომელმა.

როგორც „ქრონიკას“ საკითხის კომენტირებისას გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ შალვა ჯაბახიძემ განუცხადა, უწყების მიზანია, რომ პოლიციის ბატალიონები გასამხედროებული ქვედანაყოფი იყოს.

**მედიანიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „დაუშვებელია უსაფრთხოების სამსახურისთვის უფლებამოსილებების შეზღუდვა და ამით ჩვენი სპეცსამსახურების დასუსტება“



— მსოფლიოსა და რეგიონში მომეტებული საფრთხეების გათვალისწინებით, აბსოლუტურად დაუშვებელია უსაფრთხოების სამსახურისთვის კონტრსადაზვერვო საქმიანობის ფარგლებში უფლებამოსილებების შეზღუდვა.

ამის შესახებ „კვირას“ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ირაკლი ბერაიამ განუცხადა.

მისი თქმით, ეს პირდაპირ უარყოფითად აისახება ჩვენი სახელმწიფოსა და ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე.

ბერაია აცხადებს, რომ არ იზიარებს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის საკონსტიტუციო სარჩელს, რომლის მიხედვითაც კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონის მთელი რიგი მუხლების გაუქმებას მოითხოვენ.

როგორც დეპუტატი აცხადებს, საქართველოს პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურებს კონტრსადაზვერვო საქმიანობის ფარგლებში ანალოგიური უფლებამოსილება აქვთ, რაც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურს.

ბერაია ევროპასა და რეგიონში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ ბევრმა ქვეყანამ გაატარა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები იმისთვის, რომ უსაფრთხოების სამსახურებისთვის კიდევ უფრო გაეფართოებინათ როგორც კონტრსადაზვერვო, ასევე კონტრტერორისტული უფლებამოსილებები.

— კონტრსადაზვერვო საქმიანობა ზოგადად არის სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში სპეციალური ღონისძიებების სისტემა როგორც ოპერატიული ღონისძიებების, ასევე ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების. ეს მიმართულია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, ასევე პირთა ჯგუფების და ცალკეული პირების როგორც სადაზვერვო, ასევე ტერორისტული საქმიანობის პირველ რიგში პრევენციისა და გამოვლენისკენ.

კონტრსადაზვერვო საქმიანობის ფარგლებში ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურს ზუსტად ანალოგიური უფლებამოსილება აქვს, რაც ჩვენს ქვეყანაში აქვს უსაფრთხოების სამსახურს. დღეს მსოფლიოში მომეტებული საფრთხეების ფონზე ძალიან ბევრმა ქვეყანამ გაატარა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები იმისთვის, რომ უსაფრთხოების სამსახურებისთვის კიდევ უფრო გაეფართოებინათ როგორც კონტრსადაზვერვო, ასევე კონტრტერორისტული უფლებამოსილებები. დღეს, როცა ჩვენი ქვეყნების 20% ოკუპირებულია, რეგიონის სპეციფიკის და ზოგადად რეგიონში არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, აბსოლუტურად დაუშვებელია უსაფრთხოების სამსახურისთვის კონტრსადაზვერვო საქმიანობის ფარგლებში უფლებამოსილებების შეზღუდვა და ამით ჩვენი სპეცსამსახურების დასუსტება.

ეს პირდაპირ უარყოფითად აისახება ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე, ასევე ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, იმიტომ, რომ უსაფრთხოების სამსახურების გამართულ და ეფექტიან საქმიანობაზე და პირველ რიგში კონტრსადაზვერვო საქმიანობის ფარგლებში თავისი უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელებაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის და ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება და ეს პირველ რიგში შედის ჩვენს ეროვნულ ინტერესებში. ზოგადად, ჩვენი ქვეყნის სიძლიერე და ჩვენი უსაფრთხოების გამართული ფუნქციონირება შედის ჩვენი პარტნიორების ინტერესებში, — განუცხადა „კვირას“ ირაკლი ბერაიამ.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

# დაიმტკიცეთ განვადება წინასწარ

## 10 წამში

შეავსეთ მარტივი ფორმა და გაიგეთ რა ლიმიტის ფარგლებში
დაგიმტკიცდებათ განვადება

ეწვიეთ ჩვენს პარტნიორ მაღაზიებს და
შეავსეთ თქვენი პირადი ინფორმაცია
განვადების სტენდზე





# ბანკი „რესპუბლიკა“ მისი კლიენტის თვითმკვლელობაზე განცხადებას ავრცელებს

მედიაში გამოქვეყნებულმა მასალამ, სადაც ვალების გამო თბილისში მომხდარ ტრაგედიაზეა საუბარი, ქართველი საზოგადოება შეძრა. ორი შვილის მამამ, 44 წლის გიორგი ხოსრუაშვილმა, ორი კვირის წინ თავი მოიკლა.

მან თვითმკვლელობამდე ბანკ „რესპუბლიკას“ წერილი დაუტოვა, სადაც სთხოვს, ოჯახს ვალი ჩამოაწერონ და მისი შვილები ღია ცის ქვეშ არ დატოვონ.

როგორც გარდაცვლილის ბიძაშვილი ამბობს, საუბარია 27 ათასი დოლარის ოდენობის სესხზე.

ვალების გამო თბილისში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით ბანკმა „რესპუბლიკამ“ გუშინ განცხადება გაავრცელა.

– ბანკი „რესპუბლიკა“ ეხმაურება გუშინ გამოქვეყნებულ მასალას. პირველ რიგში, თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს და მწუხარებას გამოხატავს მომხდარის გამო. საქმის დეტალებში უკეთ გარკვევის და არსებული სიტუაციის დარეგულირების მიზნით, ბანკი „რესპუბლიკა“ ახორციელებს შესაბამის კომუნიკაციას გარდაცვლილის ოჯახის წევრებთან და აუცილებლად დაეხმარება ოჯახს ამ მძიმე ვითარებაში.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით, ბანკი მუშაობს ამ საკითხზე და სიტუაციაში უმოკლეს დროში გაერკვევა, – ნათქვამია ბანკ „რესპუბლიკის“ განცხადებაში.

# ლარი გაუფასურდა



ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.7846 ლარია. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.7831 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0015 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.8938 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.8902 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0036 ლარი შეადგინა.

# ტენდერებში მონაწილე კომპანიებს დევალვაციის გამო პროექტების დასრულება გაუჭირდებათ?!



სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე კომპანიებისთვის ლარის დევალვაციის შედეგად მიღებული ზარალის კომპენსირების საკითხი ისევ გააქტიურდა.

გასული წლის მარტში ეკონომიკის მინისტრის რანგში გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ სავალუტო კრიზისის გამო დაზარალდა ძალიან ბევრი კომპანია, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვებსა და სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობენ.

მათ შეექმნათ საფრთხე, რომ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული, წინა გამოცხადებული ფასებით ვერ შეძლებენ არსებული პროექტების დასრულებას. ამიტომ მთავრობამ იმსჯელა ამ პრობლემის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება, შესაბამის კანონქვემდებარე აქტში, რომელიც ეხება სახელმწიფო შესყიდვებს, გაითვალისწინოს არსებული გარემოებები და გამოიყენოს, უპირველეს ყოვლისა, ის 10%-იანი ლიმიტი, რომელიც კანონქვემდებარე აქტით არის გათვალისწინებული.

გასული წლის მარტში კურსი 2.16-2,21 იყო.

ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ანა საბახტარიშვილი რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ასოციაციის ინიციატივით მშენებელი კომპანიები ინფრასტრუქტურის ახალ მინისტრ ზურაბ ალავიძეს შეხვდნენ.

საბახტარაშვილის ინფორმაციით, საუბარი შეეხო რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს. მათ შორის იყო დევალვაციის შედეგად მიყენებული ზარალის თემა.

ასოციაციის ხელმძღვანელის თქმით, კურსიდან გამომდინარე დაჯამებული ზარალის შესახებ ზუსტი მონაცემები არ აქვთ, თუმცა კომპანიებს მასალების უმრავლესობა იმპორტირებული აქვთ და ნეგატიური ზემოქმედება საკმაოდ დიდია

– როდესაც კონტრაქტი ფორმდება, გარკვეულ რისკს კომპანია თავის თავზე იღებს, თუმცა, როდესაც კურსის ცვლილება ასეთი მაღალია, ვერანაირ რისკ-მენეჯმენტი ვერ იმუშავებს და საჭიროა გარკვეული მხარდაჭერა სახელმწიფოსგან, – აცხადებს საბახტარაშვილი.

მისივე თქმით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო შარშან გამოცემულ კანონქვემდებარე აქტს და, სავარაუდოდ, წელსაც ამოქმედდება გარკვეული ნორმები.

მისივე განმარტებით, გასულ წელს კომპანიების ნაწილმა ვერ ისარგებლა კომპენსაციით, რადგან თავად კომპანიებმა პროცედურულად ვერ მოახერხეს დოკუმენტების წარდგენა.

ანა საბახტარაშვილის განცხადებითვე, მშენებლებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა საბანკო გარანტიებია, რადგან არის ტენდენცია, რომ საბანკო სექტორი სამშენებლო კომპანიების კრედიტუნარიანობას გაცილებით კრიტიკულად აფასებს, ვიდრე სხვა რომელიმე სექტორს. ეს კი პრობლემაა, რადგან ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩართულ კომპანიებს სჭირდებათ გარანტიები ბანკისგან.

როგორც ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, ახალი მინისტრისგან გაიცა დაპირება, რომ უახლოეს მომავალში საბანკო სექტორთან ამ თემაზე კომუნიკაცია შედგება.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# ბავშვთა კვების პროდუქტები 5 ლარით გაძვირდა

## იანვრის შემდეგ ფასები 20%-ით მოიმატებს

ფასების ზრდა გრძელდება – იმპორტიორებმა ბავშვთა კვების პროდუქტების გაძვირება დაიწყეს.

მოქალაქეების ნაწილი რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ დედის რძის შემცვლელი ბავშვთა კვების პროდუქტი ნუტრილონის საბითუმო ფასი 5 ლარით გაძვირდა და 23 ლარი გახდა.



მათივე თქმით, 20%-მდე მატებაა საბავშვო ფაფებსა და ჰიგიენურ პროდუქციაზე.

„ნორდიკის“ ფაფების იმპორტიორ კომპანია „ნორბიში“ განმარტავენ, რომ ფასების შენარჩუნება შეუძლებელი ხდება და იანვრიდან სხვადასხვა სახეობის პროდუქციაზე დაახლოებით 20% -იანი ფასების მატებაა დაგეგმილი.

კომპანიაში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე ფასების გადაანგარიშება დასრულებული არ აქვთ.

ფრიზოს იმპორტიორ კომპანიაში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე ფასების შენარჩუნებას ახერხებენ, თუმცა რა იქნება მომავალი წლიდან, რთული სათქმელია.

– გადავხედავთ ბაზრის და კონკურენტების მდგომარეობას და არ არის გამორიცხული, ფასების ზრდის საკითხი განვიხილოთ, თუმცა ჯერჯერობით ვცდილობთ ფასის კომპენსირებას, – განმარტავენ კომპანიაში.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# რატომ გაჩერდა 34 მილიონი დოლარის ღირებულების გორის ქარის ელექტროსადგური



რომან გოცირიძის ინფორმაციით, გორის 20,7 მეგავატიანი ქარის ელექტროსადგური ამჟამად არ ფუნქციონირებს.

პოლიტიკოსი სოციალურ ქსელში ვიდეოს ავრცელებს, რომელზეც ჩანს, რომ ელექტროსადგურის ფრთები არ ტრიალებს.

– 30 მილიონი დოლარის ოდენობის სახელმწიფო ფულით აშენებული ფრთები გაუჩერებიათ თუ გაჩერებულა. გუშინ კომიტეტის სხდომაზე სწორედ ამაზე გვქონდა საუბარი – რაში დაიხარჯა ამდენი ფული თუ მასში გამომუშავებული ელექტროენერგია უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე იმპორტი? ნახევრად ხუმრობით ვთქვი, ხომ არ სჯობია, რომ გააჩეროთ-მეთქი.

თურმე უკვე გაუჩერებიათ. ამ ფასად ერთი მშვენიერი ჰიდროელექტროსადგური აშენდებოდა, რომელიც ერთი საუკუნე მოემსახურებოდა ქვეყანას, – წერს რომან გოცირიძე.

◆ ◆ ◆

იმის გასარკვევად, ფუნქციონირებს თუ არა გორის ქარის ელექტროსადგური, ოლნიუს.გე „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, თორნიკე ყაზარაშვილს დაუკავშირდა.

მისი თქმით, ელექტროსადგურის ფუნქციონირება ამჟამად შეჩერებულია, რადგან მას ქარის შესაბამისი ენერგია არ ჰყოფნის, თუმცა სადგური ნოემბრის შუა რიცხვებიდან აქტიურად მუშაობს, ხოლო მის მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება მხოლოდ მაშინ წყდება, როდესაც ქარის სიჩქარე 3მ/წმ-ზე ნაკლებია.

– ახლა არ შემიმოწმებია, ოფისში არ ვიმყოფები, შეიძლება ფუნქციონირებდეს, თუმცა, რა თქმა უნდა, თუ ქარის შესაბამისი სიმძლავრე არ არის, ვერ იმუშავებს, სწორედ იმიტომ ჰქვია ქარის ელექტროსადგური, რომ ქარის ენერგია ესაჭიროება, რამდენი ვიდეოც არ უნდა დადონ და ილაპარაკონ, აზრი არ აქვს, – განმარტა თორნიკე ყაზარაშვილმა.

◆ ◆ ◆

უნდა შეწყვიტოს თუ არა ფუნქციონირება აღნიშნულმა ელექტროსადგურმა ქარის არარსებობის შემთხვევაში?

ამ საკითხზე კომენტარი ენერგეტიკოსმა ანზორ ჭითანავამ გააკეთა.

მისი თქმით, ელექტროსადგურმა ძირითადად უნდა იმუშაოს, თუმცა თუ მას შესაბამისი ბუნებრივი პირობები არ აქვს, ჩერდება.

– არის შემთხვევები, როდესაც ელექტროსადგური შეიძლება გაჩერდეს. ელექტროსადგური ახალი დამონტაჟებულია, ჩემი ინფორმაციით, ის კარგად მუშაობს, შესაბამის სიმძლავრეს ავითარებს და შესანიშნავად მუშაობს. ასევე, ელექტროსადგურს აქვს მაქსიმალური და მინიმალური პარამეტრები. როდესაც ქარი ელექტროსადგურის პარამეტრებს შეესაბამება, მაშინ ის ფუნქციონირებს და როდესაც არა, აღარ. ეს ბუნებრივი მდგომარეობაა, – განმარტავს ექსპერტი.

აღსანიშნავია, რომ გორის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 34 მილიონი დოლარი დაიხარჯა, მის მიერ გამომუშავებული ენერგია 88 მლნ კვტ/საათია.

ის 6 აგრეგატისგან შედგება და თითოეული მათგანის სიმძლავრე 3,45 მგვტ-ს შეადგენს.

**მარიამ მენაბდიშვილი, წყარო: ოლნიუს.გე**


**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83


# „ტაქსების ტარიფი 50 თეთრიდან 2 ლარამდეა მომატებული“

ტაქსების მომსახურების ღირებულება 1-2 ლარით გაიზარდა.

ამის შესახებ ბიზნესპრესნიუსს მოქალაქეებმა განუცხადეს, რომელთა თქმითაც, რამდენიმე დღეა ტაქსის მძღოლები მგზავრობის სანაცვლოდ 1 ან 2 ლარით მეტს სთხოვენ.

ბიზნესპრესნიუსი შეეცადა ტაქსის კომპანიებთან დაკავშირებას და იმის გარკვევას, გაიზარდა თუ არა მგზავრობის ღირებულება და რა გახდა ამის მიზეზი.

ტაქსის გამოძახების კომპანიების ცნობით, ამ ეტაპზე საფასურის გაზრდის მიზეზი ლარი-დოლარის კურსის ცვლილება და საწვავის გაძვირება გახდა. ისინი არ გამორიცხავენ, რომ მგზავრობის ღირებულება ახალი წლიდან, მას შემდეგ, რაც საწვავზე აქციზის ახალი, გაზრდილი გადასახადი დაწესდება, კიდევ უფრო გაიზარდოს.

როგორც კომპანია „სითი ტაქსის“ ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ტყეშელაშვილმა აღნიშნა,




ფასები სხვადასხვა მიმართულებაზე 50 თეთრიდან 2 ლარამდეა მომატებული.

– სხვადასხვა კომპანიებს დღესაც არასტაბილური ფასები აქვს. ზოგს მოკლე, ზოგს კი გრძელ მანძილებზე აქვს მაღალი ტარიფი დაწესებული. ზოგიერთ კომპანიას მრიცხველები უყენია და, შესაბამისად, მგზავრობაც უფრო ძვირი ღირს.

ამ ეტაპზე კომპანიებისთვის მთავარი სირთულე ის არის, რომ ფასი, რომელიც მისაღებია მგზავრისთვის, მიუღებელია მძღოლისთვის. რის გამოც სხვა უფრო მაღალტარიფიან კომპანიაში გადადიან ან დამოუკიდებლად იწყებენ ტაქსაობას. ფასები 50 თეთრიდან 2 ლარამდეა მომატებული და ახალი წლიდან აქციზის ზრდას, შესაძლოა, მგზავრობის საფასურის მატებაც მოჰყვეს, – გვითხრა ტყეშელაშვილმა.

„ტაქსი 200-200“-ის დირექტორი ნიკა ხოფერია კი ამბობს, რომ მგზავრობის ტარიფი 10%-ით დაახლოებით, 40-50 თეთრით გაძვირდება.

მისივე თქმით, აქციზის გაზრდა საწვავის კიდევ უფრო გაძვირებას და, შესაბამისად, ტაქსებით მგზავრობის გაძვირებასაც გამოიწვევს.

არსებული ინფორმაციით, მგზავრობის ტარიფი მცირედით გააძვირა „იანდექს ტაქსიმაც“.

**ბიპიენი**

# ირაკლი სესიაშვილი: „მთელ მსოფლიოში კონტრდაზვერვითი საქმიანობის უფლებამოსილება გაფართოვდა“

## „ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება აქ არაფერ შუაშია“

ნათია ხურცილავა



„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ „კონტრდაზვერვის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელის განხილვა უკვე დაიწყო.

არასამთავრობო ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ მოქმედი კანონმდებლობა უწყებას აძლევს შესაძლებლობას, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩაერიოს სასამართლოს ჩართულობის გარეშე, რაც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ცვლილების ინიციატორების განცხადებით, უსაფრთხოების მიზნებისთვის ფარული ვიდეო თუ აუდიოგადაღების წარმოება მხოლოდ სასამართლოს ნებართვის საფუძველზე უნდა ხდებოდეს.

აღნიშნულ საკითხზე „ახალ თაობასთან“ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი საუბრობს.

***– ბატონო ირაკლი, რას იტყვით სარჩელის შესახებ?***

– კონტრდაზვერვითი საქმიანობა ძალიან სპეციფიკური საქმიანობაა. ეს საქმიანობა საიდუმლო-ოპერატიულ ღონისძიებაზეა დაფუძნებული, რომლის მთავარი ამოცანაა, ქვეყანა სერიოზული საფრთხეებისგან, რისკებისგან დაიცვას. ვგულისხმობ ტერორიზმს, ორგანიზებულ დანაშაულს, ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფას და ა.შ.

ამ სპეციფიკურ საქმიანობას უკავშირდება სპეცსამსახურების ფარული, გასაიდუმლოებული, ოპერატიული საქმიანობა, რაც მოითხოვს სპეციალურ უნარ-ჩვევებს, აგენტურას და ა.შ. ეს არ არის რიგითი, ჩვეულებრივი საგამოძიებო ღონისძიება, რომელსაც ასე თუ ისე იცნობს საზოგადოება და ერკვევა. მსოფლიოში ბოლო პერიოდში მომხდარი ტერაქტების შემდეგ, მთელ რიგ ქვეყნებში კანონმდებლობა გამკაცრდა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის უფლებამოსილება გაფართოვდა.

***– კონკრეტულად?***

– საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, სლოვაკეთში. მაგალითად, პოლონეთში ფარული მიყურადება ყოველგვარი სასამართლო ნებართვის გარეშე არის შესაძლებელი. ეს პროცესი გრძელდება ისრაელში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მიმართულებით სვლას თავისი რეალური საფუძველი აქვს.

***– საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელის განხილვა უკვე დაიწყო. როგორია თქვენი მოლოდინი?***

– საკონსტიტუციო სასამართლოს პატივს ვცემ. მის კომპეტენციასა და დამოუკიდებლობაში ეჭვი სრულებით არ მეპარება. თუმცა, მე, როგორც ამ ქვეყნის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ვალდებული ვარ, ჩვენს საზოგადოებას პირდაპირ ვუთხრა, რომ მიუხედავად არასამთავრობო სექტორის ლიბერალური მიდგომებისა, რეგიონში მზარდი ტერორისტული საფრთხეების გათვალისწინებით, არსებული ინფორმაციის საფუძველზე ამ საკითხის დაკმაყოფილება გამოიწვევს სერიოზული რისკების წარმოქმნას.

ამიტომ, თავს ვალდებულად ვთვლი, რომ საზოგადოების ინფორმირება მოვახდინო, თუ რას ნიშნავს კონტრდაზვერვითი საქმიანობა და ეს სამსახური რა სფეროს უკავშირდება. ვითვალისწინებთ რა საერთაშორისო მდგომარეობას, ჩვენს რეგიონში შესაძლო საფრთხეებს, მე კატეგორიულად დაუშვებლად მიმაჩნია ამ სარჩელის დაკმაყოფილება.

არავინ არ მინდა გაიგოს ჩემი პოზიცია საკონსტიტუციო სასამართლოზე ზეწოლად, არავითარ შემთხვევაში! ეს არის ჩემი ვალდებულება, ეს არის ჩემი პოზიცია, როგორც ამ ქვეყნის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის.

***– თუმცა, მთავარ ღირებულებას – ადამიანის უფლებებს, მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას – ხომ არ დაემუქრება საფრთხე? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ბეწვის ხიდის გავლაზეა საუბარი?***

– დიახ, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებები არის უზენაესი. თუმცა, თუ ადამიანის უსაფრთხოება არ იქნა უზრუნველყოფილი, ვერც მის უფლებებს დავიცავთ. ამიტომ, ყველა ვცდილობთ, რომ ოქროს შუალედი ვიპოვოთ. როდესაც კრიტიკული ვითარება არის მთელ მსოფლიოში ტერორიზმის საფრთხის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაში, მით უფრო, როდესაც კანონში არსებობს ჩანაწერი „გადაუდებელი აუცილებლობა“, დიახ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენ ვალდებული ვართ, ვიმოქმედოთ.

***– ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე?***

– აქ არის სწორედ მთელი ამბავი, რადგან სასამართლო კონკრეტულ ფაქტებს, გარემოებებს ეფუძნება. ამ დროს შეიძლება სულაც არ იყოს ფაქტები, ფაქტობრივი გარემოება, ადეკვატური მტკიცებულებები სულაც არ მოიპოვებოდეს, თუმცა, სპეცსამსახურების უნარ-ჩვევები სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარი ფაქტობრივი მასალის გარეშე გაუჩნდეთ ეჭვი და აღკვეთონ რეალური საფრთხე.

კონტრდაზვერვითი საქმიანობა უბრალოდ კი არ ეყრდნობა სამართლებრივ გამოძიებას, არამედ თავისი სპეციფიკური უნარ-ჩვევებით შეიძლება სასამართლო ექსპერტიზითაც კი ვერ იყოს ახსნადი. ამ პრაქტიკას ითვალისწინებენ პოლონეთი, ისრაელი, სლოვაკეთი. მეტიც, ევროკავშირის სახელმწიფოებმა შესაბამისი მიმართვაც კი მიიღეს და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდეს, რომ გაამკაცრონ ამ მიმართულებით კანონმდებლობა.

***– რამდენად იქნება ეს ადეკვატური? ასე შეიძლება ყველას და ყველაფერს მოუსმინონ და გაამართლონ საფრთხის მოლოდინით.***

– არა, არავითარ შემთხვევაში. აქ საუბარია განსაკუთრებულ შემთხვევებზე და გადაუდებელ აუცილებლობაზე. არ შეიძლება იმაზე მეტი ვადა, ვიდრე სამი თვე. რა თქმა უნდა, შესაბამისი ანგარიშვალდებულებით, რომლის ზედამხედველობასაც პროკურატურა ახორციელებს. თუ პროკურატურა ნახავს, რომ თვალთვალი, მიყურადება უსაფუძვლოა, ამაზე პასუხს მოსთხოვს. აქ საუბარია მხოლოდ კონტრდაზვერვით საქმიანობაზე. ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება აქ არაფერ შუაშია. ეს განსხვავება უნდა დავინახოთ, თუ სხვა ტიპის დანაშაულთან გვაქვს საქმე, მაშინ ასეთი თვალთვალი და მიყურადება მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება.

***– ბოლო დროს მომხდარი ტერორისტული აქტების გათვალისწინებით, რამდენად არის ჩვენს რეგიონში ტერორიზმის საფრთხე მზარდი?***

– ბოლო რამდენიმე წელიწადში ძალიან სერიოზული კონტრსადაზვერვო საქმიანობა განვახორციელეთ. ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა და უსაფრთხოება, რომელიც გვაქვს, გარანტირებულია სწორედ ამ სპეცსამსახურების ეფექტური მუშაობითაც მათ შორის.

* * *

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ არჩილ თალაკვაძის აზრით, ტერორიზმის რისკების ზრდის ფონზე ჩვენი სპეცსამსახურების დასუსტება უსაფრთხოებას არ წაადგება.

**არჩილ თალაკვაძე:**

– იმ ვითარებაში, როდესაც რეგიონსა და მსოფლიოში ტერორიზმის რისკები გაზრდილია, ჩვენი სპეცსამსახურების დასუსტება და მათი საქმიანობის კიდევ უფრო შეზღუდვა საქართველოს, ჩვენი მოქალაქეების და ევროპის უსაფრთხოებასაც ნამდვილად არ წაადგება.

ამიტომ მინდა ვთხოვო ყველა დაინტერესებულ მხარეს, მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებს და ერთი ხელის მოსმით ნუ დავუპირისპირდებით ისეთ რეგულაციებს, რომლებმაც ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ოჯახები უნდა დაიცვან.

# სასამართლომ დათა ახალაიას და გია დგებუაძეს განაჩენი გამოუტანა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეში ბრალდებულ გიორგი დგებუაძესა და დავით ახალაიას განაჩენი გამოუტანა.

წარდგენილი ბრალის თანახმად, ორივე ბრალდებულს ბრალად ედებოდათ ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა, ასევე ძალადობით და იარაღის გამოყენებით, მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

გარდა ამისა, დავით ახალაიას ბრალად ედებოდა მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია და ასევე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების ფალსიფიკაცია, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი.

* * *

საქმის მასალების თანახმად, 2006 წლის 12 იანვარს, ბაჩანა ახალაიამ, იმ დროისათვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის რანგში, თავის ძმას დავით ახალაიას წერილით ამცნო, რომ №1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მზადდებოდა პატიმრების მასობრივი გაქცევა და მოითხოვა რეაგირება.

დავით ახალაიას, როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორს, ჰქონდა ვალდებულება, დაუყოვნებლივ დაეწყო გამოძიება, თუმცა გადაამეტა თავის უფლებამოსილებას და არ უზრუნველყო მოკვლევის ჩატარება. დავით ახალაიამ, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული სისასტიკის წარმოჩენის, საკუთარი და ძმის ძალაუფლების დემონსტრირებისა და პატიმრებს შორის შიშის სინდრომის დასანერგად დაგეგმა, ორგანიზება გაუკეთა და სისრულეში მოიყვანა მურად გ.-ს, რომან ს.-ს და მარად ა.-ს მკვლელობა, ეს უკანასკნელნი კი თავად დაიყოლიეს თითქოსდა გაქცევის ორგანიზების საქმეში ჩართვაზე.

2006 წლის 12 იანვარს დავით ახალაია, გიორგი დგებუაძე, კუდ-ის სხვა მაღალჩინოსნებთან და სპეცდანიშნულების რაზმის წევრებთან ერთად მივიდნენ ნავთლუღის ავტოსადგურის ტერიტორიაზე და განლაგდნენ იმგვარად, რომ ავტოსადგურის ტერიტორია ჩაკეტილიყო სამი მხრიდან და ადგილზე მისულ პირებს არ ჰქონოდათ გაქცევის საშუალება.

უიარაღო მურად გ.-ს, რომან ს.-ს და მარად ა.-ს ადგილზე მისვლისთანავე სპეცრაზმმა გაუხსნა ცეცხლი. მას შემდეგ, რაც მიღებული დაზიანებების შედეგად ხსენებული პირები მიწაზე დაეცნენ, დავით ახალაიამ ცეცხლსასროლი იარაღით მოახდინა საკონტროლო გასროლა თავის არეში მურად გ.-ს მიმართულებით, კუდის პირველი სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსმა ოპერატიულმა თანამშრომელმა გიორგი მ.-მ მარად ა.-ს მიმართულებით, ხოლო გიორგი დგებუაძემ რომან ს.-ს მიმართულებით.

„სპეცოპერაციის“ დასასრულს, დავით ახალაიას მითითებით, გამოძიებით დაუდგენელმა პირმა სათითაოდ დაალაგა გარდაცვლილების გვამებთან ცეცხლსასროლი იარაღი, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით.

* * *

თბილისის საქალაქო სასამართლომ დავით ახალაია გაამართლა ძალადობით და იარაღის გამოყენებით, მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით წარდგენილ ბრალდებაში (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით), ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა ორი ან მეტი პირის ჯგუფურად მკვლელობის, მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მუხლებით წარდგენილი ბრალდების ნაწილში.

სასჯელთა შთანთქმის პრინციპის და 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით, დავით ახალაიას საბოლოოდ, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით და დამატებითი სასჯელის სახით 2 წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

ბრალდებულ გიორგი დგებუაძის მიმართ სასამართლომ წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაცია შეცვალა და მისი მსჯავრდება მოხდა




ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობაში დახმარებისა და მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის.

დანაშაულთა ერთობლიობით, შთანთქმის პრინციპისა და 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით, გიორგი დგებუაძეს, საბოლოოდ ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით და დამატებითი სასჯელის სახით 2 წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

* * *

ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის გადაწყვეტილება ადვოკატებმა შესაძლოა გაასაჩივრონ.

კერძოდ, როგორც მსჯავრდებულ გია დგებუაძის ადვოკატმა, დავით აბესაძემ ჟურნალისტებს პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა, მართალია გია დგებუაძისთვის ბრალის გადაკვალიფიცირება მოხდა, მას წარდგენილი ბრალი განზრახ მკვლელობა გადაუკვალიფიცირდა განზრახ მკვლელობაში დახმარების გაწევაში, თუმცა შესაძლოა მიღებული გადაწყვეტილება მაინც გაასაჩივრონ, რადგანაც საქმეში არ იკვეთება გია დგებუაძის დანაშაული.

– განაჩენი გადაკვალიფიცირდა დგებუაძის მიმართ წარდგენილ ბრალში. ის რეალურად გამართლდა აღმსრულებლობაში, ანუ მას არ უსვრია არც ერთი იარაღიდან პირისთვის, არ განუხორციელებია არც საკონტროლო გასროლა. ის დამნაშავედ იქნა ცნობილი დახმარებისთვის სხვა პირების მიმართ დანაშაულის შესრულებაში.

ჩვენი აზრით, ამ კუთხით მტკიცებულებები არასაკმარისია, ვინაიდან დახმარება განზრახ ქმედებაა და ამ შემთხვევაში არ გამოვლენილა დანაშაული. გადაწყვეტილება აუცილებლად გასაჩივრდება, – განაცხადა გია დგებუაძის ადვოკატმა დავით აბესაძემ.

გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ გამორიცხავს დათა ახალაიას ადვოკატიც. როგორც ირაკლი ზაქარეიშვილმა განაცხადა, ამის შესახებ გადაწყვეტილებას სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარების შემდეგ მიიღებს. რაც შეეხება მოსამართლის დღევანდელ განაჩენს, ირაკლი ზაქარეიშვილმა მას პოლიტიკური გადაწყვეტილება უწოდა.

– ეს არ იყო განაჩენი. ეს იყო მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილება. კრიმინალურმა სამყარომ და რუსეთის სპეცსამსახურებმა კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს დღევანდელი გადაწყვეტილებით. როდესაც ჩამბარდება დასაბუთებული განაჩენი, შემდგომ მოგახსენებთ, გავასაჩივრებთ თუ არა გადაწყვეტილებას. თუმცა აქ არის სამი მოცემულობა.

ერთი არის ტრისტან წითელაშვილის ჩვენება, მეორე მოკლული თათუხაშვილის ჩვენება, რომელიც აწამეს და ჩვენება გამოსძალეს და მესამე, ჯონი ჯოხაიძის ჩვენება, რომელმაც კარიერა აიწყო იმის გამო, რომ დათა ახალაიას წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მისცა. არც ერთი მტკიცებულება საქმეში არ მიუთითებს, რომ დათა ახალაიამ დანაშაული ჩაიდინა, – განაცხადა დათა ახალაიას ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა.



# მაია და გუკა რჩეულიშვილები პატიმრობაში დატოვეს

სასამართლომ „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლები მაია და გუკა რჩეულიშვილები პატიმრობაში დატოვა.

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ბრალდებულების ინტერესების დამცველების შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გირაოთი შეცვლასთან დაკავშირებით.

მაია რჩეულიშვილის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის გათავისუფლებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გურამ რჩეულიშვილის ადვოკატი კი წინა პროცესზე დაკითხული ექსპერტის ჩვენებიდან გამომდინარე ითხოვდა.

ადვოკატები გურამ რჩეულიშვილის 150 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ, მაია რჩეულიშვილის კი 50 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდნენ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2016, 22 დეკემბერი, №303

# რუსეთის ელჩის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა ჯაბჰათ ან-ნუსრამ აიღო



რუსეთის ელჩზე თავდასხმამ მთელი მსოფლიო შეძრა. საკმარისია ითქვას, რომ ასეთი რამ 1933 წლის შემდეგ არ მომხდარა, როცა ლვოვში უკრაინელმა ნაციონალისტმა ლემიკმა საბჭოთა დიპლომატი და შეთავსებით ჩეკისტი მაილოვი მოკლა. ცივი ომის ყველაზე მწვავე პერიოდებშიც კი საბჭოთა დიპლომატებზე შეიარაღებული თავდასხმა არ მომხდარა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: ანკარა დიპლომატებისთვის აბსოლუტურად უსაფრთხო ადგილად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს თურქეთში ტერორისტები გააქტიურდნენ, ყველა ელჩი (გარდა ისრაელისა) თურქეთის დედაქალაქში დაცვის გარეშე გადაადგილდებოდა. მიზეზი მარტივია. თურქეთში არსებობს დაუწერელი კანონი: ყველა, ვინც უცხოელ დიპლომატზე ხელს აღმართავს, ცოცხალი ვერ გადარჩება. საქმე სასამართლომდეც არ მივა. მკვლელს თურქეთის ციხეში ტანჯვა-წამებით სიკვდილი მოელის.

რუსეთის ელჩ კარლოვზე თავდასხმაც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.

დღეს უკვე ცნობილია, რომ კარლოვს თურქეთის პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა მევლუთ ალთინთაშმა ესროლა. ის 1992 წელს დაიბადა. დაამთავრა პოლიციელთა სასწავლებელი იზმირში, მსახურობდა სპეცგანყოფილებაში, რომლის ამოცანაც საპროტესტო აქციების დარბევა იყო.

– სავარაუდოდ, ის ემიგრაციაში მცხოვრები გიულენის ორგანიზაციის წევრი იყო, – ასე განუცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ თავის რუს კოლეგა ლავროვს.

აღნიშნულ ვერსიას ექსპერტები ეჭვქვეშ აყენებენ. როცა 2016 წლის ივლისში თურქეთში პუტჩი მოხდა, ალთინთაში მის ჩახშობაში აქტიურად მონაწილეობდა. ერდოღანისადმი ერთგულება სიტყვითაც დაამტკიცა, როცა ტელევიზიით გამოვიდა და პუტჩისტების მოქმედება დაგმო. ამას გარდა, გიულენი, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს, ტერორიზმის კატეგორიული მოწინააღმდეგეა. მეტიც, მან რუსეთის ელჩზე თავდასხმა დაგმო.

– ძნელი წარმოსადგენია, რომ ალთინთაში გიულენის მომხრეთა ორგანიზაციის წევრია. ასევე ფანტასტიკურია ბრალდება, რომ რუს დიპლომატზე თავდასხმა გიულენის მომხრეებმა დაგეგმეს, – აცხადებს რადიო „თავისუფლება“.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ანდრეი კარლოვის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა ჯეიშ ალ-ფათჰის შეიარაღებულმა კოალიციამ აიღო, რომლის რიგებშიც შედის ჯებჰათ ფათჰ აშ-შამის ექსტრემისტული დაჯგუფება (ადრე ცნობილი, როგორც ჯაბჰათ ან-ნუსრა).

აღნიშნულის შესახებ გაზეთი „ალ-იაუმ ას-საბია“ იუწყება.

გაზეთის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სირიაში მოქმედი აღნიშნული კოალიციის განცხადების ასლი, რომელშიც ნათქვამია, რომ ანკარაში ჩადენილ მკვლელობაზე პასუხისმგებლობას თავად იღებენ.

# ბერლინი: ტერორიზმში ეჭვმიტანილი გაათავისუფლეს





გერმანიის პოლიციამ გაათავისუფლა პიროვნება, რომელსაც ტერაქტში ედებოდა ბრალი. საუბარია 20 დეკემბრის ტერაქტზე, როცა სატვირთო მანქანა მთელი სისწრაფით ხალხის ნაკადში შეიჭრა. შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა.

ვერ მოხერხდა იმის დამტკიცება, რომ ეს პიროვნება სატვირთო მანქანის საჭესთან იჯდა.

ტერორისტის ძებნა გრძელდება.

# ციურიხი: ტერორისტი მკვდარი იპოვეს



შვეიცარიის პოლიციამ აღმოაჩინა იმ ტერორისტის გვამი, რომელმაც ციურიხში ისლამურ ცენტრს ცეცხლი გაუხსნა.

ტერორისტის სიკვდილის მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია.

შვეიცარიის პოლიციის აზრით, ტერორისტი (ის შვეიცარიის მოქალაქეა) არ იყო დაკავშირებული არც ისლამურ სახელმწიფოსთან, არც სხვა ექსტრემისტულ დაჯგუფებასთან. თავდამსხმელი საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა.

# აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა





სვეტლოდარის რკალზე წარუმატებელი შეტევა რუსებისთვის ფატალური გამოდგა. საქმე მხოლოდ დახოცილ რუს ჯარისკაცებში ან დაკარგულ სამხედრო ტექნიკაში როდია. აშშ-მ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის მიმართ სანქციების გაფართოების შესახებ.

– ამის მიზეზი დონბასში გართულებული მდგომარეობაა, – განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა.

ვლადიმერ პუტინმა ამერიკელების მიმართ აღშფოთება გამოთქვა.

– დონბასის მოსახლეობა აღდგა კიევის ხუნტის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს, მას უცხო ფასეულობები მოახვიოს! დიალოგის ნაცვლად პოროშენკომ დონბასში დამსჯელი ჯარი გაგზავნა! არ მესმის, ჩვენ რა შუაში ვართ და რატომ გვსჯიან? უპრიანი იქნებოდა, სანქციები უკრაინის წინააღმდეგ დაეწესებინათ, – განაცხადა პუტინმა.

# რუსეთს სირიიდან ამერიკელების განდევნა სურს



მოსკოვში რუსეთის, ირანისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ. საუბრის ძირითადი თემა სირიაში შექმნილი მდგომარეობა იყო. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ძალადობას სირიაში ბოლო უნდა მოეღოს და ყველა საკითხი მოლაპარაკებების გზით გადაწყდეს.

ამავე დროს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ სირიის პრობლემა რუსეთის, ირანისა და თურქეთის შეთანხმებების საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ლავროვმა დესტრუქციული უწოდა როგორც ამერიკელების, ისე საუდის არაბეთის როლს, რომელსაც ისინი სირიის მოვლენებში თამაშობენ.

– სირიის პრობლემა ამერიკელებისა და საუდის არაბეთის გარეშე უნდა მოგვარდეს, – თქვა ლავროვმა.

# აფეთქება მექსიკაში



ქალაქ ტელტეპეკში ფეიერვერკების ბაზრობაზე აფეთქება მოხდა. შედეგად დაღუპულია 29 ადამიანი, უამრავი დაიჭრა. ბაზრობაზე ამ დროს უამრავი ადამიანი იმყოფებოდა. მათ საახალწლოდ ფეიერვერკების შეძენა სურდათ.

ტელტეპეკსის პოლიციის უფროსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აფეთქება გაუფრთხილებლობამ გამოიწვია.

# პრიმორიეს ვიცე-გუბერნატორს შინა პატიმრობა მიუსაჯეს



ვლადივოსტოკის სასამართლომ პრიმორიეს ვიცე-გუბერნატორი სიდორენკო შინა პატიმრობაში მოათავსა.

მას ბრალად თანამდებობის ბოროტად გამოყენება ედება.

სიდორენკოს გვარი რიგ გახმაურებულ კორუფციულ სკანდალში ფიგურირებს, მათ შორის ტაიფუნით დაზარალებული რეგიონებისთვის გამოყოფილი თანხის მითვისებაცაა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79.**
**ქ. ზესტაფონი, რუსთაველის 158. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**



## განცხადებები

**მომსახურება**

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის,ოსტეოქონდროზის,რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისადანარკომპანიისგანსამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა მოიგეს



დასავლეთ კონფერენციის ლიდერმა გოლდენ სტეიტ უორიორზმა შინ იუტა ჯაზი მიიღო და მეტოქეს უპრობლემოდ სძლია. ოკლენდელებმა ოთხივე პერიოდი მოუგეს სოლტ ლეიკ სიტის საკალათბურთო წარმომადგენელს, საბოლოოდ კი 104:74 იმარჯვეს.

ზაზა ფაჩულია ამჯერადაც სასტარტოში იყო და პარკეტზე 15 სათამაშო წუთი გაატარა. ქართველმა კალათბურთელმა ამ დროის მანძილზე 2 ქულა აიღო (ორივე ჯარიმა ჩააგდო, ერთი ორქულიანი ააცილა), 3 მოხსნა (ერთი შეტევისას) და ერთიც შედეგიანი გადაცემა შეასრულა. მიუხედავად მწირი მონაგარისა, ზაზა კარგად გაისარჯა დაცვაში.

„მეომართა“ შორის ყველაზე შედეგიანი სტეფ კარი გახლდათ (25 ქულა), დრეიმონდ გრინმა კი კვლავ მოახერხა ორმაგი დუბლის შესრულება (15 ქულა, 11 მოხსნა).

გოლდენ სტეიტი მთლიანობაში 25 გამარჯვებით ორივე კონფერენციაში საუკეთესოა. მომდევნო შეხვედრას ზაზა ფაჩულია და მისი პარტნიორები სტუმრად ბრუკლინში ნეთსთან გამართავენ.

## გურამ კაშია: „ლივერპულში ვითამაშებდი“

საქართველოს ნაკრებისა და არნემის ვიტესის მცველი გურამ კაშია ინგლისის პრემიერლიგის გულშემატკივარია და სწორედ ამ ჩემპიონატზე საუბრობს პრემიერლიგის ვებგვერდზე.

***– პრემიერლიგაში თამაშის შანსი რომ გქონდეთ, რომელი გუნდის წევრი იქნებოდით?***

– ლივერპულში ვითამაშებდი.

***– ლონდონის ჩელსი და მანჩესტერ იუნაიტედი რომ გთავაზობდეთ კონტრაქტს, თუმცა მხოლოდ ერთში გქონდეთ ძირითადში ადგილი გარანტირებული, რომელს აირჩევდით?***

– საშინელებაა იმ გუნდში გადასვლა, სადაც ვინმე თამაშის გარანტიას მოგცემს. წარმოიდგინეთ ისეთი ფეხბურთელი, ვისაც გარანტირებული აქვს ადგილი ძირითადში, მარტო თამაშებზე ივლიდა. რად უნდა ვარჯიში თუ გარანტირებული აქვს ძირითადში ადგილი. დაუფიქრებლად იუნაიტედს ავირჩევ.

***– პრემიერლიგაში აწ უკვე ყოფილი და ამჟამინდელი მცველებიდან რომელია თქვენთვის ყველაზე მეტად მისაბაძი და რატომ?***

– მისაბაძ ფეხბურთელზე საუბარი ჩემს ასაკში ცოტა დაგვიანებულია. თუმცა ჩემში ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევდა იუნაიტედის 2 დიდებული ცენტრალური მცველი ფერდინანდი და ვიდიჩი, მათ უკან ვან დერ საარი. ბრწყინვალე კომბინაცია სერ ალექსისგან. ყველაზე გრძელი მშრალი კარის სერია მათ აქვთ, ბევრი ტიტულიც მოიგეს ერთად. ამიტომ ამ 2 მცველს გამოვყოფ, მაგრამ როგორ შეიძლება ტერი, სოლ კემბელი, მარტინ კიოუნი ან იაპ სტამი არ გამოვყო.



რამდენიმე ხნის წინ ანჩელოტის წიგნი წავიკითხე. მას ოთხივე ტოპ ჩემპიონატში აქვს ნამუშევარი და მან თქვა: ინგლისელი ფეხბურთელები არიან ყველაზე მებრძოლი ფეხბურთელები, ომში თუ მომიწევს წასვლა და არჩევანის გაკეთება თუ ვისთან ერთად წავიდე, აუცილებლად ინგლისელ ფეხბურთელებთან ერთად წავალ.

***– რა არის მთავარი ღირსება, რომელიც ფეხბურთელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს?***

– ფეხბურთისადმი ერთგულება.

***– დღეს პრემიერლიგაში მრავალი წარმატებული მწვრთნელი იბრძვის ჩემპიონობისთვის. თქვენ რომელთან ერთად ისურვებდით მუშაობას და რატომ?***

– კლოპთან ერთად დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი, ფეხბურთი თუ გიყვარს, არ შეიძლება ამ კაცისადმი სიმპათია არ გქონდეს,

***– ვისთან ერთად გიყვართ პრემიერლიგის მატჩების ყურება და რატომ?***

– მე და ვაკო ყაზაიშვილი ვართ ფანატები, სანამ ვიტესში იყო, ყოველ დილით ვარჯიშამდე ვაკოს გავუვლიდი, მანქანაში რადიო სულ მქონდა მომართული და გამზადებული, რომ ერთად მოგვესმინა ცხელ-ცხელი პრემიერლიგის ამბებისთვის. ისინი ხომ ან მიწასთან ასწორებენ ფეხბურთელებს ან კიდევ აღმერთებენ, შაბათ-კვირას ხომ საერთოდ ზეიმი გვქონდა, ბევრჯერ ყოფილა, რომ ავტობუსით მგზავრობა მოგვიწია და აიპადში ან აიფონში ერთად გვიყურებია ლაივისთვის.

## ოლიმპიურ ჩემპიონებს წიგნები მიუძღვნეს



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში გაიმართა სეოკის მიერ გამოცემული 3 წიგნის პრეზენტაცია – ქართველები რიოში, ლაშა ტალახაძე, და ვლადიმერ ხინჩეგაშვილი. ასევე მოეწყო სეოკის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის დიპლომებისა და სპეციალური პრიზების გადაცემის ცერემონიალი.

სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ქართველი ოლიმპიელების წარმატებული გამოსვლა რიოს ოლიმპიურ თამაშებზე, ხაზი გაუსვა ამ წარმატებაში სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების, მათ შორის სეოკის პარტნიორების მიერ შეტანილ წვლილს.

რიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებზე წიგნები გამოიცა სეოკის მრავალწიგნიანი სერიის ფარგლებში – ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები. უკვე გამოცემულია 36 წიგნი 36-ვე ოლიმპიურ ჩემპიონზე. ბოლო გამოცემების ავტორები არიან სპორტული ჟურნალისტები ოთარ მაღლაკელიძე და ვასილ ბალახაძე. 136-გვერდიან ფოტოალბომში ქართველები რიოში თავმოყრილია 31-ე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიელების ასპარეზობის ამსახველი ფოტოები, რომელთა უმეტესობა გადაღებულია ოლიმპიადაზე აკრედიტებული პროფესიონალი რეპორტიორების თამარ ყულუმბეგაშვილის და ლაშა კუპრაშვილის მიერ.

შეკრებილებს სიტყვით მიმართეს ოლიმპიურ ჩემპიონებზე შექმნილი წიგნების ავტორებმა – ოთარ მაღლაკელიძემ და ვასილ ბალახაძემ.

სეოკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ისაუბრა ოლიმპიური კომიტეტის მიერ განხორციელებულ სააგიტაციო-საგანმანათლებლო საქმიანობაზე და ამ მიმართულებით დაგეგმილ პროექტებზე. აღნიშნა, რომ რიოს ოლიმპიურ ჩემპიონებზე ასევე შეიქმნება დოკუმენტური ფილმები.

ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ლაშა ტალახაძემ და ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა მადლობა გადაუხადეს ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს, თავად წიგნების ავტორებს მათ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის.

ბოლოს, ლერი ხაბელოვმა სეოკ-ის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს გადასცა დიპლომები და სპეციალური პრიზები.

## ქუთაისმა ბათუმს მოუგო და მე-2 ადგილი დაიბრუნა



**ქუთაისი-ბათუმი 80:77**
(29:27, 24:20, 10:10, 17:20)

საკალათბურთო სუპერლიგის მე-12 ტური იმერეთში დასრულდა, სადაც ქუთაისმა ბათუმს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 80:77 დაამარცხა.

ამ გუნდებს შორის მატჩებს ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესი და ინტრიგა ახლავს. რეგიონალური დერბი ყოველთვის დაძაბული და საინტერესოა. გამონაკლისი არც ეს შეხვედრა იყო.

პირველი მეოთხედი მასპინძლებმა 2 ქულით – 29:27 მოიგეს, რის შემდეგაც შედეგიანობა კიდევ უფრო გააუმჯობესეს და დიდი შესვენებისთვის უპირატესობა 6 ქულამდე გაზარდეს – 53:47.

მეორე ნახევარში ბათუმელებმა დაცვაში თამაშის გამოსწორება იწყეს და მასპინძლებს ბევრი ბურთი არ ჩააგდებინეს, თუმცა რიონისპირელებმაც ანალოგიურად ხისტი დაცვა დაუპირისპირეს. მართალია, ქუთაისელები ლიდერობას ვერ ზრდიდნენ, მაგრამ მეტოქისთვის არც არაფერი დაუთმიათ და ქულამწირი მეოთხედი თანაბრად დასრულდა – 10:10.

ბოლო ათწუთეულში სტუმრებმა მაქსიმუმი გაიღეს, რაც მხოლოდ ჩამორჩენის შემცირებას ეყო.

საბოლოოდ მასპინძლებმა 3 ქულით გაიმარჯვეს, რაშიც ლომის წილი ეროვნული ნაკრების წევრმა გიორგი ცინცაძემ დაიდო, რომელმაც 24 ქულა მიითვალა. 15 ქულა და 7 მოხსნა დააგროვა ანატოლი ბოისამ.

ბათუმელთაგან 19 ქულით ბომბარდირი კახა ჯინჭარაძე გახდა, ხოლო კრისტოფერ პელჩერმა პირად ანგარიშზე 18 ქულა და 14 მოხსნა ჩაიწერა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 12 | 12 | 0 | 1061-848 | 24 |
| 2.ქუთაისი | 11 | 9 | 2 | 907-840 | 20 |
| 3.რუსთავი | 12 | 8 | 4 | 951-937 | 20 |
| 4.ბათუმი | 12 | 6 | 6 | 931-899 | 18 |
| 5.კაკტუსი | 12 | 5 | 7 | 967-1058 | 17 |
| 6.სოხუმი | 12 | 4 | 8 | 1012-1049 | 16 |
| 7.ოლიმპი | 11 | 2 | 9 | 736-792 | 13 |
| 8.მგზავრები | 12 | 1 | 11 | 850-992 | 13 |

## პეტრა კვიტოვა საკუთარ სახლში დაჭრეს



უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი, ჩოგბურთელი პეტრა კვიტოვა საკუთარ საცხოვრებელ ბინაში მძარცველებმა დანით დაჭრეს.

ჩეხ სპორტსმენს თავდამსხმელებმა მარცხენა ხელზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. ამ დროისთვის კვიტოვა ჩეხეთის ქალაქ პროშტეევის ერთ-ერთ კლინიკაში იმყოფება. ექიმების განცხადებით, სპორტსმენის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. პოლიცია დამნაშავეებს ამ დრომდე ეძებს.

ინციდენტი მოხდა კვიტოვას სახლში ჩეხეთის ქალაქ პროშტეევში, სადაც პეტრა ესპანეთში გატარებული საწვრთნელი შეკრების შემდეგ დაბრუნდა. დიდი ალბათობით, მძარცველი არ ელოდა, რომ სახლში ვინმე დახვდებოდა.

უკვე ცნობილია, რომ კვიტოვა მონაწილეობას ვერ მიიღებს ჰოპმანის თასის გათამაშებაში. სწორედ ამ ტურნირით უნდა გაეხსნა ჩეხს 2017 წლის სეზონი.

პეტრა კვიტოვა ამ დროისთვის მსოფლიო საჩოგბურთო რეიტინგში მე-11 პოზიციას იკავებს. კვიტოვამ 2011 და 2014 წლებში ყველაზე პრესტიჟული უიმბლდონის საჩოგბურთო გათამაშებაზე მოიპოვა გამარჯვება.

## შედეგები

**20 დეკემბერი**
**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ვილიარეალი-ტოლედო ................. 1:1
სოსიედადი-ვალიადოლიდი ........... 1:1
ატლეტიკო-ხიხუელო ..................... 4:1
ლას ...................... პალმასი-უესკა 2:1
მალაგა-კორდობა ........................... 3:4

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-აუგსბურგი ............... 1:1
გლადბახი-ვოლფსბურგი ............... 1:2
ჰამბურგი-შალკე ............................. 2:1
აინტრახტი-მაინცი ......................... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 15 | 11 | 3 | 1 | 35-9 | 36 |
| 2.ლაიპციგი | 15 | 11 | 3 | 1 | 31-12 | 36 |
| 3.აინტრახტი | 16 | 8 | 5 | 3 | 22-12 | 29 |
| 4.დორტმუნდი | 16 | 7 | 6 | 3 | 35-19 | 27 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 15 | 6 | 9 | 0 | 27-16 | 27 |
| 6.ჰერტა | 15 | 8 | 3 | 4 | 22-16 | 27 |
| 7.კიოლნი | 15 | 6 | 6 | 3 | 20-14 | 24 |
| 8.ლევერკუზენი | 15 | 6 | 2 | 7 | 22-23 | 20 |
| 9.მაინცი | 16 | 6 | 2 | 8 | 26-30 | 20 |
| 10.ფრაიბურგი | 15 | 6 | 2 | 7 | 19-26 | 20 |
| 11.შალკე | 16 | 5 | 3 | 8 | 20-19 | 18 |
| 12.აუგსბურგი | 16 | 4 | 6 | 6 | 13-17 | 18 |
| 13.ვოლფსბურგი | 16 | 4 | 4 | 8 | 15-24 | 16 |
| 14.გლადბახი | 16 | 4 | 4 | 8 | 15-25 | 16 |
| 15.ვერდერი | 15 | 4 | 3 | 8 | 19-33 | 15 |
| 16.ჰამბურგი | 16 | 3 | 4 | 9 | 14-31 | 13 |
| 17.ინგოლშტადტი | 15 | 3 | 3 | 9 | 13-25 | 12 |
| 18.დარმშტადტი | 15 | 2 | 2 | 11 | 11-28 | 8 |

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ემპოლი ........................ 2:1

***ემპოლის გოლი ლევან მჭედლიძემ გაიტანა***

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 17 | 14 | 0 | 3 | 36-14 | 42 |
| 2.რომა | 17 | 11 | 2 | 4 | 36-17 | 35 |
| 3.ნაპოლი | 17 | 10 | 4 | 3 | 37-18 | 34 |
| 4.ლაციო | 17 | 10 | 4 | 3 | 32-18 | 34 |
| 5.მილანი | 17 | 10 | 3 | 4 | 27-20 | 33 |
| 6.ატალანტა | 18 | 10 | 2 | 6 | 27-21 | 32 |
| 7.ინტერი | 17 | 8 | 3 | 6 | 25-21 | 27 |
| 8.ფიორენტინა | 17 | 7 | 5 | 5 | 25-21 | 26 |
| 9.ტორინო | 17 | 7 | 4 | 6 | 35-27 | 25 |
| 10.კიევო | 17 | 7 | 4 | 6 | 18-17 | 25 |
| 11.უდინეზე | 17 | 7 | 3 | 7 | 24-24 | 24 |
| 12.ჯენოა | 17 | 6 | 5 | 6 | 21-21 | 23 |
| 13.სამპდორია | 17 | 6 | 4 | 7 | 21-24 | 22 |
| 14.ბოლონია | 17 | 5 | 5 | 7 | 17-22 | 20 |
| 15.კალიარი | 17 | 6 | 2 | 9 | 23-39 | 20 |
| 16.სასუოლო | 17 | 5 | 2 | 10 | 21-29 | 17 |
| 17.ემპოლი | 18 | 3 | 5 | 10 | 10-26 | 14 |
| 18.კროტონე | 17 | 2 | 3 | 12 | 14-32 | 9 |
| 19.პალერმო | 17 | 2 | 3 | 12 | 15-34 | 9 |
| 20.პესკარა | 17 | 1 | 5 | 11 | 13-32 | 8 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-პარტიკი ........................ 1:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ბევერენი-სტ.ტრუიდენი ................ 3:1
მეხელენი-შარლერუა .................... 1:0
მუსკრონი-ვესტერლო .................... 0:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ დავიცვათ თავი ცე ჰეპატიტისგან

ეკა ირემაშვილი

ცე ჰეპატიტი ინფექციური დაავადებაა, რომლის დროსაც ძირითადად ზიანდება ღვიძლი და ვითარდება მისი ანთება.

როგორ მიმდინარეობს ცე ჰეპატიტი, რა თავისებურებები ახასიათებს, ვინ შეიძლება დაინფიცირდეს და ვირუსის გადაცემის რა გზები არსებობს, ამ თემებზე „ახალ თაობას“ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ექიმი ინფექციონისტი მაია ჯინჯოლავა ესაუბრა.

**მაია ჯინჯოლავა:**

– ცე ჰეპატიტი ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ცე ჰეპატიტის ვირუსი იწვევს. ზოგადად, ჰეპატიტი ღვიძლის ანთებას ნიშნავს. დაავადება რომ განვითარდეს, ვირუსი ღვიძლის უჯრედებში უნდა შეიჭრას, სადაც მრავლდება და ღვიძლის ქსოვილის ანთებას იწვევს. ცე ჰეპატიტის თავისებურებას წარმოადგენს ლატენტური ანუ უსიმპტომო, ან მცირე სიმპტომებით მიმდინარეობა.

***– როგორ მიმდინარეობს ცე ჰეპატიტი და რა თავისებურებები ახასიათებს?***

– მიმდინარეობის მიხედვით დაავადებას აქვს მწვავე და ქრონიკული ფორმა. მწვავე ცე ჰეპატიტი ვირუსის ორგანიზმში შეჭრიდან 6 თვის ფარგლებში ვითარდება. დაავადების მწვავე ფაზა ხშირად პაციენტებისთვის შეუმჩნეველი რჩება, რადგან თითქმის 75 პროცენტში დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ინფიცირებულთა მხოლოდ 25 პროცენტს შეიძლება განუვითარდეს ჰეპატიტისთვის დამახასიათებელი სიმპტომები: ზოგადი სისუსტე, უმადობა, დისკომფორტი მუცლის არეში, სიყვითლე კანსა და სკლერებზე. სიმპტომური მწვავე ცე ჰეპატიტის შემთხვევაში გამოჯანმრთელების ალბათობა გაცილებით მაღალია – 50 პროცენტი.

ზოგადად ინფიცირებულთა მხოლოდ 15-20 პროცენტი ცე ვირუსით მოკლე ვადით ავადობს და ჩარევის გარეშე განიკურნება. გაცილებით ხშირია – 75-85 პროცენტი – როდესაც ინფექციური პროცესი გრძელდება და ქრონიკულ მიმდინარეობას იღებს. ასეთ შემთხვევებში ვირუსი ხანგრძლივად ბინადრობს ადამიანის ორგანიზმში და ღვიძლის ქრონიკული დაავადების ფორმირების მიზეზი ხდება.

***– როგორ მიმდინარეობს ქრონიკული ცე ჰეპატიტი?***

– ქრონიკული ცე ჰეპატიტი შესაძლოა მიმდინარეობდეს ლატენტურად ანუ ფარულად, ან პერიოდული გამწვავებებით. არსებობს მუდმივად პროგრესირებადი ფორმებიც.

ღვიძლის ქრონიკული ანთებითი პროცესის შედეგად ვითარდება ღვიძლის ფიბროზი – დანაწიბურება, ანუ მდგომარეობა როდესაც მკვეთრად ქვეითდება ღვიძლის ელასტიურობა. დაავადების პროგრესირების შედეგად შესაძლოა განვითარდეს ღვიძლის ტერმინალური დაავადებები: ღვიძლის ციროზი, ღვიძლუჯრედული კარცინომა და ღვიძლის უკმარისობა.

***– რა განაპირობებს დაავადების პროგრესირებას?***

– ცე ჰეპატიტი გაცილებით სწრაფად პროგრესირებს იმუნოკომპრომეტირებულ პირებში (აივ ინფექცია, შიდსი), სწრაფი პროგრესირებისთვის რისკ ფაქტორს წარმოადგენს ალკოჰოლის ჭარბი მიღება, სიმსუქნე, ხანდაზმული ასაკი, მამრობითი სქესი.

***– ცე ჰეპატიტის ვირუსის გადაცემის რა გზები არსებობს?***

– ცე ჰეპატიტის ვირუსის გადაცემა ხდება როდესაც ინფიცირებული ადამიანის სისხლი, ან სისხლის კომპონენტი ხვდება ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში. ეს შესაძლოა სხვადასხვა გზით მოხდეს: ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარება, ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული შპრიცისა და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენება, სისხლის გადასხმა (1992 წლამდე), პროფესიული კონტაქტი ინფიცირებულ სისხლთან. სქესობრივი კონტაქტით დაავადების გადაცემის რისკი დაბალია, ის არ აღემატება 2 პროცენტს მონოგამურ პარტნიორებს შორის, ხოლო მრავალი სქესობრივი პარტნიორის შემთხვევაში, რისკი 4-6 პროცენტია.

ვირუსის გადაცემის წყაროა პირსინგი, ტატუირება, საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელთა სისხლით დაბინძურების ალბათობა არსებობს. მაგალითად, სამართებელი, კბილის ჯაგრისი, ნუნების მაკრატელი.

***– ვინ შეიძლება დაინფიცირდეს ცე ჰეპატიტის ვირუსით?***

– უნდა ვიცოდეთ, რომ ნებისმიერი ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს ცე ჰეპატიტის ვირუსით, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი მომატებული რისკის ჯგუფშია. ესენი არიან ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები, აივ ინფიცირებულები, ჰემოფილიით დაავადებულები, ჰემოდიალიზზე მყოფი პირები, ორგანოტრანსპლანტირებულები, ეიჩ-სი-ვი პოზიტიური დედების შვილები, სამედიცინო პერსონალი, ეიჩ-სი-ვი ინფიცირებული პირების სქესობრივი პარტნიორები, სექსმუშაკები.



***– როგორ უნდა დავიცვათ თავი ცე ჰეპატიტისგან?***

– სამწუხაროდ, არ არსებობს ცე ჰეპატიტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინა და იმუნოგლობულინი, ამიტომ დაავადების პრევენციის მიზნით, დაცული უნდა იყოს ყველა ის ღონისძიება, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს დაავადების გადაცემის რისკებს, უსაფრთხო სისხლის პროგრამა, კონტროლი სტერილიზაციაზე, ერთჯერადი შპრიცების გამოყენება.

***– როგორ ხდება დაავადების გამოვლენა?***

– ცე ჰეპატიტის დიაგნოზის დასმა კლინიკური ნიშნებით პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან დაავადება ძირითადად უსიმპტომოდ მიმდინარეობს. შესაბამისად, დიაგნოზის დასმისთვის აუცილებელია ლაბორატორიული დიაგნოსტიკა. პირველ რიგში ტარდება კვლევა ცე ჰეპატიტის ვირუსის მიმართ გამომუშავებული ანტისხეულების აღმოსაჩენად. ამ ტესტის დადებითი შედეგი შეიძლება ნიშნავდეს, რომ პირს აქვს ცე ჰეპატიტი, ან იგი წარსულში იყო ინფიცირებული და დაავადება თვითგაჯანმრთელებით დასრულდა დაავადების მწვავე ფაზაში. ყველა იმ პირს, ვისაც დადებითი აღმოაჩნდება ცე ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტისხეულები, უნდა ჩაუტარდეს მაღალი სიზუსტითა და მგრძნობელობით გამორჩეული კვლევა, კერძოდ, პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით ვირუსის გენეტიკური მასალის განსაზღვრა სისხლში. მხოლოდ ეს იძლევა უტყუარ პასუხს, არის თუ არა პირი დაავადებული ცე ჰეპატიტით.

***– როგორ მკურნალობენ ცე ჰეპატიტს?***

– ცე ჰეპატიტის მკურნალობის დარგში ბოლო წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 2015 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ცე ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია საქართველოში ცე ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობის და ინფექციის გავრცელების შემცირება.

ყველა ის პირი, რომელსაც ჩატარებული აქვს კვლევა ცე ჰეპატიტის ანტისხეულებზე და აქვთ მიღებული დადებითი პასუხი, ერთვება ცე ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში, უტარდებათ განსაზღვრული აუცილებელი კვლევები. ლაბორატორიული კვლევებით მიღებული შედეგების გათვალისწინებით – დაავადების სიმძიმე, გენოტიპი და ა.შ. – პაციენტს ენიშნება ანტივირუსული თერაპია.

მკურნალობა ტარდება უახლოესი თაობის ე.წ. „პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული“ პრეპარატებით – ჰარვონი, სოფოსბუვირი, რიბავირინი. აღნიშნული პრეპარატები საქართველოს მოქალაქეებს გადაეცემათ უსასყიდლოდ. მათი გამოყენებით სრული განკურნების მაჩვენებლები კი 90 პროცენტს აღემატება.

სპორტი

## მანჩესტერს მოურინიოსთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურს



მანჩესტერ იუნაიტედი მზად არის, ჟოზე მოურინიო „ოლდ ტრაფორდზე“ იმაზე დიდხანს დარჩეს, ვიდრე მის ამჟამინდელ კონტრაქტშია გათვლილი. კლუბი მოხარულია სტარტით და მიაჩნია, რომ სწორედ მოურინიო მოუპოვებს იუნაიტედს 21-ე ჩემპიონობას.

ჟოზე, რომელმაც გაძევებული ლუი ვან გაალი შეცვალა, იუნაიტედში დარჩენას მინიმუმ თავისი მოქმედი კონტრაქტის ამოწურვამდე ისურვებს.

მიუხედავად იმისა, რომ მოურინიოს მომავალი იუნაიტედის სათამაშო სტილსა და შედეგებზეა დამოკიდებულები, მწვრთნელმა უკვე შეძლო მფლობელთა მოხიბვლა მოედანზე და მის ფარგლებს გარეთ ნაჩვენები მიდგომით. მანჩესტერი 10 მატჩია დაუმარცხებელია, ბოლო 3 თამაშიდან კი სამივე მოიგო.

მოურინიოს პოზიტიური გავლენა აქვს სავარჯიშო მოედანზეც. თავისი შრომისუნარიანობითა და პრინციპებისადმი ერთგულებით პორტუგალიელმა კლუბის მფლობელებისა და აღმასრულებელი დირექტორის, ედ ვუდვორდის ნდობა დაიმსახურა, რის გამოც ისინი გრძელვადიან გეგმებს ადგენენ.

პორტუგალიელი ამჟამად კერძო სახლშიც კი არ ცხოვრობს და სასტუმრო „ლოურიში“ რჩება, ხოლო მისმა ასისტენტებმა და მწვრთნელებმა ქალაქის ცენტრის მახლობლად აპარტამენტები აიღეს.

იუნაიტედი ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაზე გუნდის გაძლიერებას ეცდება, რაშიც, ბუნებრივია, მოურინიო უშუალო მონაწილეობას მიიღებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ასტროპროგნოზი

22 დეკემბრისათვის



**ვერძი** – სიჩქარის გამო, შესაძლოა, მცდარი გადაწყვეტილება მიიღოთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. გამორიცხული არ არის, სულ მალე ახლობლებმა დახმარებისთვის მოგმართონ. **ტყუპები** – ნერვებს გაუფრთხილდით. ემოციებს ნუ აჰყვებით. მშვიდად იყავით და მოვლენები თავისთავად თქვენ სასარგებლოდ განვითარდება. **კირჩხიბი** – თავი აარიდეთ საქმის გარჩევას ხელმძღვანელ პირებთან. შედეგით უკმაყოფილო დარჩებით. **ლომი** – დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავეთ. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. **ქალწული** – მიზნის მისაღწევად დიდი შრომა დაგჭირდებათ, თუმცა სურვილს მაინც აისრულებთ. **სასწორი** – პასიური დღეა. სიძნელეები დილიდანვე შეგხვდებათ. დაუფიქრებლად ნურაფერს იტყვით. **ღრიანკალი** – ცვლილებები სასიკეთო იქნება. ეს განსაკუთრებით სამსახურებრივ სფეროს ეხება. ახალი შთაბეჭდილებები გაგახალისებთ. **მშვილდოსანი** – უფროსობასთან ურთიერთობაში თავდაჭერა გმართებთ. სანამ რამეს იტყოდეთ ან მოიმოქმედებდეთ, კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** – ნუ იაქტიურებთ. პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა ცუდ სამსახურს გაგიწევთ. **მერწყული** – იყავით თვითკრიტიკული. დააბრუნეთ ძველი ვალები. თუ ვინმეს რამეს დაჰპირდებით, სიტყვას ნუ გატეხთ. **თევზები** – საქმიან შეხვედრებს ერიდეთ. ეცადეთ, ნებისმიერ სიტუაციაში თავი ხელში აიყვანოთ და სიმშვიდე შეინარჩუნოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მეცნიერება ხეხილის ჯიშების შესახებ; 2. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 3. მუსლიმთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 4. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 5. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი; 11. მონასტერი ხულოს რაიონში; 12. ფულის ერთეული ქუვეითში; 14. აშშ-ის კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. ისტორიული მოედანი პარიზში; 19. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 22. ქალაქი ესტონეთში.

**თარაზულად:** 6. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 7. ქართული ტელეკომპანია; 8. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან კონიაკი; 9. მდინარე პრაღაში; 10. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. საკათედრო ტაძარი თბილისში; 15. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული; 18. რიგითი მეზღვაური; 20. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 23. კერძო დეტექტივების მეტსახელი აშშ-ში; 24. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტვიში; 2. სტელა; 3. ანორაკი; 4. კობე; 5. მესა; 6. სტაიერი; 9. საკანდელიძე; 10. აშპაშხანა; 11. შუშაბანდი; 14. სოპკა; 16. აკინი; 18. სეინერი; 20. დურბანი; 23. რადა; 24. სარკე; 25. იმედი; 26. ბოტი.

**თარაზულად:** 7. ონტოლოგია; 8. რეზერვატი; 12. მარში; 13. მურეი; 15. აპაჩი; 17. პარადოქსი; 19. ტოლჩა; 21. ლიანა; 22. ოდერი; 27. ტრუბადური; 28. რესტორანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პაციფისტი; 2. ლიგნიტი; 3. რინერი; 4. ბაფტა; 5. სტურუა; 11. ბიბლია; 12. ბოტასი; 14. ტუფი; 16. სორბონა; 17. მადრიდი; 19. ბოქსიტი; 21. ჯიხვი; 22. პროზა.

**თარაზულად:** 6. მარტვილი; 7. კრამიტი; 8. ტავრო; 9. ოფორტი; 10. რუმბა; 13. შტატი; 15. ესკალატორი; 18. საქსები; 20. აული; 21. ჯოყოლა; 23. კალიფორნია; 24. დრაივი.

კალეიდოსკოპი

# ჩინელი სასიძო საპატარძლო კაბაში გამოეწყო



ჩინეთის პროვინცია სიჩუანში საქორწილო ცერემონიისთვის საქმრომ საპატარძლო კაბა ჩაიცვა და ეს იმისთვის გააკეთა, რომ მის რჩეულს ეშინოდა, საქორწილო კაბაში მეტისმეტად მსუქანი არ გამოჩენილიყო.

შუაიმ მოისურვა, შეყვარებული ოუ ციანისთვის მხარდაჭერა გამოეხატა და მას საქორწილო ტანსაცმელი გაუცვალა. ამგვარად, საცოლე საკურთხეველთან მამაკაცის შავი ფერის კოსტიუმში გამოწყობილი მივიდა, ხოლო მამაკაცი – თეთრ საქორწილო კაბაში. მამაკაცს ასევე გაკეთებული ჰქონდა მაკიაჟი.

– ასეთი განსაკუთრებული შემთხვევისთვის გვსურდა გამოგვეხატა ჩვენი მზადყოფნა, ერთმანეთს გვერდში ამოვუდგეთ და ერთმანეთს ადგილები გავუცვალოთ. ჩვენი აზრით, ეს ოჯახური ცხოვრების მიმართ სწორი მიდგომაა, – განაცხადა შუაიმ. იმისთვის, რომ მამაკაცს საცოლის კაბა ჩასტეოდა, მკერავს დამატებითი სამუშაოს შესრულება დასჭირდა.

# დუბაელმა სტილისტმა კლიენტს თმები ნუთელათი და შედედებული რძით შეუღება




დუბაიში მდებარე ერთ-ერთი სილამაზის სალონის მფლობელმა კლიენტს თმები ნუთელას შოკოლადის კრემის დახმარებით შეუღება და ზევიდან შედედებული რძე გადაუსვა.

ამ პროცედურის ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში იქნა გამოქვეყნებული.

ორ დღეში აღნიშნული ვიდეორგოლი 425 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

– ცხოვრება იდეალური არ არის, მაგრამ ჩვენ ვიზრუნებთ იმაზე, რომ თქვენი თმები უნაკლო გახდეს, – ნათქვამია ვოდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარში.

# თავზე სათლჩამოცმულმა ქურდმა 40 მტრედი მოიპარა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამიში ქურდმა, რომელსაც თავზე სათლი ჰქონდა ჩამოცმული, მტრედების გამყიდველი გაქურდა.

ინციდენტი მაღაზიის დაკეტვის შემდეგ მოხდა. შენობაში შეაღწია მამაკაცმა, რომელიც ნაგვისთვის განკუთვნილ შავი ფერის ტომარაში იყო გახვეული, ხოლო სახის დასაფარად თავზე სათლი ჰქონდა ჩამოცმული.

ქურდმა ყუთი ორმოცი ცოცხალი მტრედით გაავსო და ასევე ხელს სხვადასხვა საქონელიც გააყოლა. შემდეგ ის გადაძვრა ღობეზე, მაგრამ მასზე მიყუდებული კიბე გადაუვარდა და თავად მიწაზე დაენარცხა.

– ეს ცხოველების დაცინვაა, – განაცხადა მაღაზიის მეპატრონე ნელსონ ჰერნანდეზმა, – ის მტრედებს ძალიან უხეშად ექცეოდა.

მისი თქმით, მოპარული 40 მტრედის ფასი 100-დან 1000 დოლარამდე მერყეობს, ხოლო ზარალის საერთო ჯამი დაახლოებით შვიდი ათას დოლარს შეადგენს.

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ეს უკვე მეორე ქურდობაა. წინა ჯერზე ჰერნანდეზს 15 მტრედი მოჰპარეს.

– თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება, გაკოტრება არ ამცდება, – განაცხადა ჰერნანდეზმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის მე-19 კორპუსის მცხოვრებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, გამოჩენილი მეცნიერი

**გაიოზ ერაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

**დაკრძალვა:** ხუთშაბათს, 22 დეკემბერს, 14 საათზე.

**მისამართი:** ტატიშვილის ქუჩა (ყაზბეგის ქუჩა, ფილარმონიასთან, ვერაზე) №19, VI სადარბაზო, II სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თეა სიჭინავა ავარიაში მოყვა

ჟურნალისტი თეა სიჭინავა ავარიაში მოყვა. მართალია, დაზიანებები არ მიუღია, მაგრამ თავისი მანქანაც დაამტვრია და სხვისიც.

ინფორმაცია ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– ორი საათის წინ ჩემი მანქანაც დავამტვრიე და სხვისიც, გამოვიწერე 250 ლარიანი ჯარიმა, ავარიის შოკი არ მაქვს ჯერ კიდევ გავლილი და სახედაკარგული რომ მივედი ერთ ადგილას, აგერ თურქეთში ელჩის მკვლელობაც წამომეწია. გგონიათ დასრულდა? გამოვედი და არასწორი პარკირებისთვის ამჯერად ათი ლარით დავჯარიმდი. ამ წმინდა ნიკოლოზს მეც კი ვთხოვე რაღაც, მაგრამ, მგონი, არასწორად გამიგო.



# დავით სარაჯიშვილს გამოფენა მიეძღვნა

„ეტიკეტის ხელოვნება – XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისის საქართველო" – ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც დავით სარაჯიშვილს ეძღვნება.

ექსპოზიცია ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშია წარმოდგენილი. ეს არის ქართული ღვინის ეტიკეტების პირველი ფართომასშტაბიანი გამოფენა, სადაც წარმოდგენილია XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ღვინოების 200-მდე ეტიკეტი.

საქართველოში მეღვინეობისა და ალკოჰოლური სასმელების სფეროში მოღვაწეობდნენ გიორგი ბოლქვაძე, დავით სარაჯიშვილი, ზაქარია ჯორჯაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, მუხრან ბატონი, აშილმიურატი, დიმიტრი ყიფიანი, ფილიპე ჭელიძე, კაცია ადანაია, გიორგი დანელია, ძმები კოსტავები, ჩაჩიბაიები და სესიაშვილი. მათი დამზადებული ღვინო, კონიაკი, შამპანური, არაყი, შემაგრებული ღვინოები, ძმარი



და ყურძნის წვენი მოთხოვნადი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის იმპერიაში, ამერიკასა და ევროპაში. მათი მიერ წარმოებულ ღვინოებს მოპოვებული აქვთ არაერთი გრან პრი, ოქრო, ღირსების მედლები და დიპლომები. ქართული ღვინის წარმატებას ხარისხთან ერთად მისი დიზაინიც განაპირობებდა. იმ დროისთვის მაღალპოლიგრაფიული შესრულების ეტიკეტებს ბეჭდავდნენ საქართველოში კონსტანტინე მესხიშვილის, ექვთიმე ხელაძის, არსენ კალანდაძის სტამბებში, ლოძის, ვარშავის, ბაქოს, ვილნიუსისა და სხვა ქალაქების სტამბებში.

გამოფენაზე საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან წარმოდგენილია ქართული ღვინის ეტიკეტების კოლექცია, დიმიტრი ყიფიანის გრან პრი და დიპლომი, ეტიკეტები კერძო კოლექციებიდან. ასევე, ადრეული კონიაკის ნიმუშები დავით სარაჯიშვილის კოლექციიდან. გამოფენის კურატორია ნინო კაჭარავა, კონსულტანტები კი – ბონდო კალანდაძე და გიორგი სარაჯიშვილი.

ექსპოზიცია „ეტიკეტის ხელოვნება" 2017 წლის 8 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# საქართველოსა და სომხეთის თავდაცვის მინისტრებმა 2017 წლის თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმეს



თავდაცვის სტრატეგიული დაგეგმვის, სამხედრო განათლების, მედიცინისა და სამხედრო პოლიციის კუთხით გამოცდილების გაზიარება ის ძირითადი მიმართულებებია, რაზეც საქართველოსა და სომხეთის თავდაცვის სამინისტროები მომავალ წელს ერთმანეთთან ითანამშრომლებენ. საქართველოსა და სომხეთს შორის 2017 წლის ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა 21 დეკემბერს, საქართველოს თავდაცვის უწყებაში მოაწერეს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია სომეხ კოლეგას ვიგენ სარგსიანს ორდღიანი ვიზიტით მასპინძლობს. სომხეთის თავდაცვის მინისტრის დახვედრის ოფიციალური ცერემონიალი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ორივე ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნების შესრულების ფონზე გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგაც მინისტრები ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. დელეგაციებს შორის მინისტრების მონაწილეობით გაფართოებული შეხვედრა გაიმართა.

მინისტრებმა თავდაცვის სფეროში ორმხრივ თანამშრომლობაზე იმსჯელეს და იმედი გამოთქვეს, რომ მომავალ წელს ქვეყნებს შორის სამხედრო სფეროში ურთიერთობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება. ყურადღება გამახვილდა სამხედრო განათლების მიმართულებაზე. ლევან იზორიამ სტუმარს სომხეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისთვის საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში წელს ზამთრისა და ზაფხულის სამთო კურსების გავლა შესთავაზა.

– საუბარი შეეხო საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში ქართველი და სომეხი სამხედროების მონაწილეობას. „მოხარული ვარ, რომ ჩვენი სამხედროები ერთმანეთის მხარდამხარ ებრძვიან ტერორიზმს და მხარს უჭერენ მსოფლიო მშვიდობასა და სტაბილურობას, – აღნიშნა ლევან იზორიამ.

გაფართოებული შეხვედრის დასრულების შემდეგ ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა განცხადებები გააკეთეს და განხილული თემები შეაჯამეს. ლევან იზორიას თქმით, საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებაა.

– ჩვენ ქვეყნებს ისტორიულად ძალიან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა აქვთ. ორივემ ხაზი გავუსვით იმ გარემოებას, რომ ეს მომავალშიც უნდა განმტკიცდეს და გაძლიერდეს. ჩვენი ქვეყნების ინტერესებშია რეგიონული უსაფრთხოება, მშვიდობა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ მშვიდობის შესანარჩუნებლად. დღეს ხელი მოვაწერეთ თავდაცვის სფეროში მომავალი წლის თანამშრომლობის გეგმას. ის მოიცავს სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობას. გვინდა, რომ ეს ურთიერთობები მომავალში უფრო გავაღრმავოთ და განვამტკიცოთ, – განაცხადა ლევან იზორიამ.

ვიგენ სარგსიანმა ქართველ კოლეგას მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და ქართველ ხალხს დამდეგი ახალი წელი მიულოცა. საუბრისას მან საქართველოსა და სომხეთს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე გაამახვილა ყურადღება: „ჩვენს ხალხს ათასწლეულებია კარგი ურთიერთობა აქვთ. საქართველო ძლიერი ქვეყანაა, რომელიც საუკუნეებია სახელმწიფოებრიობას აშენებს. ჩვენ ძალიან ძლიერი და მეგობრული ურთიერთობები გვაქვს საქართველოსთან".

საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის თავდაცვის მინისტრი დელეგაციის წევრებთან ერთად თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლასაც ეწვევა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან სომხეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ დისკუსიას გამართავს.

**მედიანიუსი**

# ელბაქიძის ქუჩაზე ლომბარდი დააყაჩაღეს



ელბაქიძის ქუჩაზე ლომბარდი დააყაჩაღეს. თბილისში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ყაჩაღობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს. არსებული ინფორმაციით, მამაკაცმა ელბაქიძის ქუჩაზე ლომბარდი დააყაჩაღა, რის შემდეგაც მიმალვა სცადა, თუმცა ის სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე აიყვანეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 179-ე, ყაჩაღობის მუხლით მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

# პროგრამა

**ხუთშაბათი 22 დეკემბერი**

**07.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "წიგნების თარო" **14.30** "ფერმა" **15.00, 03.10** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან **22.30** "ვექტორი"მე-**14 23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** "უცნობი მუსიკა"მე-**15 01.30** მხ/ფ "**ახალგაზრდა ამერიკელები**"

**08.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** მხ/ფ "**არაბესკა**" (ს.ლორენი) **12.00** ტ/სერ. "**ოპერაცია მფრინავი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ჩრდილში მდგომნი**" **23.00** "მოამბე" (**3** ენებზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ."**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05, 11.20** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**სამყაროთა ომი**" **02.25** მხ/ფ "**გახსოვდეს**" **04.25** მხ/ფ "**მიჩუმებული ყვირილი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** პროფილი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "ავატარი" **9.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30** **20.30** **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი**" **0.00** მხ/ფ "**სიცრუეთა ერთობლიობა**" **2.25** მხ/ფ "**სოლარისი**" **4.15** მხ/ფ "**შვიდი**"

**06.15** სჯანი-"რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთდამოკიდებულება" **06.40** პატერიკი-მკვდრეთით აღმდგარის შესახებ **06.45** ეპოქა და ადამიანები **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" ||| სერ. **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "ფერწერა და ნიღბები" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** ტრაპეზი "მწვანე ლობიო ნიგვზით" **15.50** კონცერტი **17.00** ქრისტიანული ხელოვნება-"ქართული ნაქარგობის ტექნიკა" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ **19.40** პორტრეტები (ციკლური გადაცემა) **20.40** ძილი ნებისა "ორი ბავშვის განკურნება" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე (ციკლური გადაცემა) **21.30** დიდ ხარ შენ უფალო..."ისააკი" **22.20** ჩვენი საგანძური (ციკლური გადაცემა) **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა "კოდიუმი" **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00** სერ. "**ფართოა მდინარე**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 2.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ვინ თუ არა მე**" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 დეკემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.7412 |
| ევრო | 2.8615 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4144 |
| 100 რუსული რუბლი | 4.4463 |

## ამინდის პროგნოზი 22 დეკემბრისთვის




## 20 დეკემბრიდან
### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები




ემილ ზოლა
**ქალთა ბედნიერება**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 22 დეკემბრიდან

ძმები გრიმები
**წითელქუდა**
მაგარი ყდა. 64 ფერადი გვერდი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## იუმორი



კლიენტი მაღაზიის გამყიდველს ეუბნება:
– გუშინ ეს ყველი თქვენთან ვიყიდე...
– მერე, რაშია საქმე?
– თქვენ მითხარით, რომ შვეიცარიულიაო.
– დიახ.
– თუ შეიძლება, მიპასუხეთ, ეს ყველი იმპორტირებულია თუ დეპორტირებული?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– რა ძნელია ჩვენი მთავრობის მეთაურის სიტყვის მოსმენის შემდეგ, რეალურ ცხოვრებაში დაბრუნება.

●●●

ცოლი სამზარეულოში უკვე მეოცე თევზს ასუფთავებს და ბოლოს შეწუხებულმა ქმარს გასძახა:
– ადამიანურად გთხოვ, მეორედ რომ წახვალ სათევზაოდ, სასმელი და პურმარილი წაიღე...

●●●

ცოლი ქმარს საყვარელთან შეუსწრებს და დაუწყებს წყევლას:
– შენი კუბო დავდგი, ხო დაიფიცე, აღარ გიღალატებო, თან ვისთან მღალატობ, რას ჰგავს, მე როგორ მჯობია?!
– აუუ, შენი მოსაწონი ქალი ხომ ვერ ვნახე რა.

●●●

ქალი სასოსისეში შევიდა და ხედავს, მზარეული ქვაბში ადუღებულ წყალში ჩაყრის მომჩვარულ სოსისებს და ამოაქვს დაპუტკუნებული. ბოლოს ვეღარ მოითმინა და მზარეულს ეუბნება:
– მაი წყალი ან მომყიდე, ან ჩემ ქმარს მოვიყვან, ერთხელ ჩააყოფიე შიდ...

●●●

კაცს ქალს ურიგებენ. გარეგნულად ძალიან მოეწონა, მაგრამ ქალმა გააღო პირი თუ არა, კაცი წამოხტა და მიდის.
– სა მიხვალ? – ეკითხება მაჭანკალი.
– აბდალე ჩემი თავი მეზარება და ახლა ამის ცოლობაღა მაკლია...

●●●

ორი ხანში შესული მეგობარი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:
– ეკონომიურად უკეთესად ახლა ხარ თუ ადრე იყავი?
– ახლა.
– რატომ?
– ძამა, მარილი და შაქარი ახლა მაქვს და მარტო პურის ყიდვას რა უნდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 16 დეკემბრიდან

ნოდარ ასათიანი
# საქართველოს ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




## ლევან მჭედლიძემ ისევ გოლი გაიტანა, მაგრამ მისმა გუნდმა წააგო



ქართველმა ფეხბურთელმა ლევან მჭედლიძემ, რომელიც იტალიური ემპოლის ღირსებას იცავს, ატალანტასთან გოლი გაიტანა, მაგრამ მისმა გუნდმა მაინც წააგო.

ლევანმა თავი 51-ე წუთზე გამოიჩინა, ხოლო 73-ე წუთზე კი ისევ შეცვალეს. აღსანიშნავია, რომ მჭედლიძის გასვლის შემდეგ ატალანტამ მაშინვე ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 90-ე წუთზე გამარჯვების გოლის გატანაც შეძლო.

ქართველი ფორვარდისთვის ბოლო ორი შეხვედრა ძალიან წარმატებული გამოდგა, რადგან მან ჯამში სამი გოლის გატანა შეძლო. მანამდე კი ლევანს წელიწადნახევარზე მეტი არ ჰქონდა გოლი გატანილი ემპოლის შემადგენლობაში.

ემპოლი ამჟამად სერია ა-ში დარჩენისთვის იბრძვის და მჭედლიძის გოლები ძალიან სჭირდება.

## პსჟ იულიან დრაქსლერის ყიდვას აპირებს



ფრანგული პსჟ ზამთარში რამდენიმე ტრანსფერის განხორციელებას გეგმავს. პარიზელების ერთ-ერთი სამიზნე ვოლფსბურგის მოთამაშე იულიან დრაქსლერია, რომელიც გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება.

დრაქსლერს დიდი ხანია, ვოლფსბურგიდან წასვლა უნდა და ამის გამო გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტიც კი მოუვიდა. როგორც ჩანს, ამჯერად ის სურვილს აისრულებს და პსჟ-ში გადავა სათამაშოდ, რომელსაც ნამდვილად ესაჭიროება გაძლიერება.

წლევანდელ სეზონს უნაი ემერის გუნდი ძალიან ცუდად ატარებს და საფრანგეთის ჩემპიონატში მე-3 ადგილზეა, რაც ამ კლუბისთვის მიუღებელია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## გერმანიაში დრეზდენის დინამოს ფეხბურთელი დაჭრეს



სამწუხარო ფაქტი მოხდა გერმანიის ქალაქ ვისბადენში, სადაც დრეზდენის დინამოს ახალგაზრდა ფეხბურთელი მარკ ვახსი უცნობმა დამნაშავემ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა.

ფეხბურთელი დეიდამისის კუთვნილ მაღაზიასთან იმყოფებოდა, როდესაც ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა სროლა დაიწყო, რის შედეგადაც ვახსის დეიდა გარდაიცვალა, ხოლო მისი ქმარი და თვითონ ფეხბურთელი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მათ სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე არ ემუქრება.

დრეზდენის დინამოში ქართველი ფეხბურთელი აკაკი გოგიაც თამაშობს, რომელიც ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

## ჯეიმი ვარდის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს



შარშანდელ ინგლისის ჩემპიონს ლესტერს წლევანდელ სეზონში ბევრი პრობლემა აქვს და კლაუდიო რანიერის გუნდი სატურნირო ცხრილში მე-15 პოზიციას იკავებს. შარშანდელი სეზონის გმირი ჯეიმი ვარდი ასევე არ არის მოწოდების სიმაღლეზე და სტოკ სიტისთან შეხვედრაში ის უკვე პირველ ტაიმში გააძევეს.

ინგლისის საფეხბურთო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ვარდის სამმატჩიანი დიკვალიფიკაცია მისცა. ეს გადაწყვეტილება ლესტერმა გაასაჩივრა, მაგრამ უშედეგოდ. ამრიგად, ვარდი ზედიზედ სამ შეხვედრას გამოტოვებს და მოედანზე მხოლოდ 14 იანვარს ჩელსის წინააღმდეგ მატჩში დაბრუნდება.

## ნეიმარის წინააღმდეგ საქმე ესპანეთის სასამართლომ დახურა

ბარსელონას ვარსკვლავის ნეიმარის და მისი აგენტის მიმართ აღძრული საქმე ესპანეთის სასამართლომ დახურა.

ნეიმარს და მის აგენტს, რომელიც ნეიმარის მამაა, გა-



დასახადებისგან თავის არიდება ედებოდათ ბრალად, მაგრამ მათ ყველა ბრალდება მოეხსნათ და ნეიმარს შეუძლია კონცენტრირება მხოლოდ ფეხბურთზე მოახდინოს.

ბარსელონამ სახელმწიფოს სასარგებლოდ 5,5 მილიონი ევრო გადაიხადა კომპენსაციის სახით და ამის შემდეგ უკვე საქმე დაიხურა.

ნეიმარი ბარსელონაში სანტოსიდან 2013 წელს გადავიდა და მას შემდეგ ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 2. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 3. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 4. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 5. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ბრაზილიელი ავტომრბოლელი; 6. სამეფო კვერთხი; 9. მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადი; 10. ბულიონში მოხარშული დაკეპილი ხორცის გუნდა; 11. ლიგურიის ზღვისპირა პოპულარული კურორტი იტალიაში; 14. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 16. დამარილებული ღორის ქონი; 18. ქსოვილების დამზადების ოსტატი; 20. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 23. კომბინაცია პოკერში; 24. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 25. დიდი სიცხე; 26. პატარა ბუ.

**თარაზულად:** 7. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 8. უბანი თბილისში; 12. ხშირი, დაბურული ტყე; 13. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 17. სასტუმრო „თბილისი-მარიოტის" ძველი სახელწოდება; 19. დასაკეცი ჯიბის დანა; 21. მდინარე პოლონეთში; 22. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 27. თანაფარდობა ნაწილებს შორის; 28. უსიტყვო, თეატრალური წარმოდგენა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




ლურჯი წითელი ყვითელი შავი